წელიწადი მეთერთმეტე Onzième année. საქართველო უწინარეს ყოვლისა

თეთრი გიორგი

ეროვნული ერთობის დარაზმულობა თეთრი გიორგის ორგანო

პარიზი, 1936 წ. ივნისი. № 95

რედაქტორი: — ვიკ. ნოზაძე

Paris, Juin 1936, N° 95.

Journal de l'Organisation des Patriotes Géorgiens « THETHRI GUIORGUI »

Directeur : VICTOR NOSADZÉ Rédaction : 126, Avenue Emile-Zola, Paris XV°.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიტყვა და სინამდვილე

საქართველოს „გასაბჭოების" 15 წლის თავზე დიდი ზეიმი მოეწყო; საბჭოთა დელეგაცია 19 მარტს კრემლს ეწვია და ს. ს. რ.-ის ბოლშევიკურ პარტიასა და მთავრობას თავისი მორჩილების „სიხარულის" გრძნობა გამოუცხადა.

რაოდენ ნაცნობია ასეთი სურათი წარსული ისტორიიდან, როდესაც მძლავრებული საქართველო იძულებული იყო თავი დაეკრა გამარჯვებული მტრისათვის.. ეს ძველი და მწარე მოვლენა შესანიშნავად გამოხატულია იმ დიდ ლექსში, რომელიც ქართველებმა მოსკოვის ბატონებს მიართვეს და სადაც ქართველი ერის ისტორიაა გადმოცემული. ვისაც კითხვის უნარი აქვს, ის ამ გალექსილი ისტორიიდან, რომელიც გრიგოლ ორბელიანისა და ილია ჭავჭავაძის სუსტ მიბაძვას წარმოადგენს, ხოლო სულ სხვა მიდგომით, ნათლად დაინახავს, რომ საქართველოს მართლაც მრავალი მტერი და მპყრობელი, მრავალი თავდამსხმელი და მიმძლავრებელი ჰყოლია, ხოლო ყოველივე ეს აუტანია, ბრძოლის სული ეროვნულ კერაზე უღვივებია და სათანადო წუთში „პოვეს ჟამი მარჯვე ქართველსთა", ანუ „და იპოვეს ჟამი ქართველთა, განუდგეს სპარსთა, და მოსრნეს ერის-თავნი სპარსთანი", და განთავისუფლდენ, ანუ კიდევ „მაშინ პოვეს ჟამი მარჯვე ქართველთა"... როგორც ხშირად იწერება სისხლით დაწერილ ქართლის ცხოვრებაში.

არასოდეს საქართველო არ შერიგებია უცხო მონობას და არასოდეს ბრძოლის უნარი მას არ დასწრეტია. და თუ მარტში ზეიმობდენ, დეპეშებსა და დელეგაციებს აგზავნიდენ, „მხურვალე" სიტყვებსაც წარმოსთქვამდენ და ისტორიის პოემასაც სწერდენ, — იქვე ამბობდენ: წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო...

ამას ამბობდა ქართველი 26 მაისს, და ამბობდა გულში ზეიმით. არ ყოფილა ამ დღეს არც ქუჩაზე სირბილი, არც ბაირახების ტრიალი, არც დეპეშები და დელეგაციები, არც სიტყვები და პოემები, — იყო ჩუმი ზეიმი გულში, — იყო ხსენება და იმედი კვლავ ახალი ოცდაექვსი მაისისა, რომელიც წელს არა, გაისს, გაისს არა მერმის, მაგრამ აუცილებლად კი ხორცს შეისხამს, — ვინაიდან სული უკვე არსებობს, სცოცხლობს, და არ მოკვდება, სანამ ქართველი იბოგინებს დედამიწის ზურგზე.

ამ სურვილს ვერ მოსპობს, ამ იმედს ვერ განაცამტვერებს ის კონსტიტუციაც, რომლის პროექტი 12 ივნისს დიდის ამბით გამოცხადდა საბჭოთა პრესაში. უზარმაზარი ტრაბახითა და ბაქიბუქით ემცნო მსოფლიოს, რომ საბჭოთა კავშირი სოციალიზმისა და ერთა თავისუფლების პრინციპზე აგებული, აღიარებს უფლებას, რომ ერს შეუძლია დასტოვოს კავშირი; დიდი ეროვნული უფლება! ეს უკვე 1923 წელში მიღებული დებულება, და მკვდარი ანბანი ისევ გამომზეურეს გულუბრყვილოთა მოსატყუებლად და გასაცურებლად, ხოლო თუ ამიერკავკასიის ფედერატიული რესპუბლიკა მოისპობა, და საქართველო, სომხეთი და აზერბეიჯანი პირდაპირ საბჭოთა კავშირში შევლენ, — ამით რა გამოიცვლება!?! არსებითად მთელი ამ კავშირის ბატონ-პატრონი კვლავ მოსკოვი რჩება და ცენტრალისტური ხელისუფლება მურწუხებს უჭერს ეროვნულ მისწრაფებებსა და განვითარებას.

რით გამოიცვლება ის სავალალო მდგომარეობა, რომ ქალაქი ხონის ქალაქ წულუკიძეთ გადარქმევა მოსკოვმა უნდა დაადასტუროს? — თავი დავანებოთ ამ რეგვენულ ახალ სახელთა მოგონებას, მაგრამ კარტოფილის ფასიც ხომ მოსკოვმა უნდა დაწესოს ქართული სოფლებისათვის? რაა, რა უფლება ეძლევა საქართველოს, როდესაც ის უშუალოდ შევა საჭოთა კავშირში? რას მოუტანს იგი მას ახალს? რას მიანიჭებს იგი მას როგორც უფლება, ისე სინამდვილეში? კონსტიტუციის ზეციელად გადახედვაც კი (და ჩვენ ამ საკითხს კიდევ დავუბრუნდებით) აშკარად გვამცნებს, რომ ეროვნული უფლების ზრდა-განვითარებისა და მისი რეალიზაციის მხრივ აქ ახალი არაფერია და ეს მოოქრული სიტყვების ნიაღვარი არსებითად ხომ ნახმარია იმ ნამდვილი სიდუხჭირის დასამალავად, რომელიც ცხოვრებაში არსებობს. იმპერიალისტურ ზრახვათა და მოვლენათა დაფარვა ან მიჩქმალვა არც ისე ადვილი საქმეა, თვალხილულნი და განსაკუთრებით ისინი, ვინც ამ მოვლენის სიმძიმესა და ბოროტებას განიცდიან, ადვილად და აშკარად ხედავენ მას. და თავსაც არ მოიტყუებენ... ხოლო მოსკოვი ჩვეულებრივ კვლავ სტყუა „და რად საკვირველ არს უკუეთუ კაცსა ეცრუვნენ, ვინაჲთგან თავადისა ღმრთისა მიმართ ცრუ არიან და მზაკუარ და ბოროტად აღმსაარებელ"...

ჩვენი მისწრაფებანი*)

უკვე ძველთაგან ცნობილია, რომ დაპყრობილ ხალხთა ხელში დასაჭერად: „გათიშე და იბატონე"-ს პოლიტიკას მიმართავდენ ხოლმე; მას თავისი საკუთარი ისტორია აქვს და ყოველი დამპყრობი საუკუნეთა მანძილზე მას იყენებდა. რუსეთის მთავრობანი არც ისე რეგვენი იყვნენ, რომ ამ გზისათვის არ მიემართათ კავკასიაში, სადაც მთელი მე-19 საუკუნის განმავლობაში ჩვენს წინ იშლება რუსული პოლიტიკის მოქმედება. აგებული სწორედ ამ პოლიტიკაზე. რუსული ხელისუფლება კავკასიაში ყოველთვის ამაზე იყო მოწყობილი და ხშირად მით იმარჯვებდა კიდეც კავკასიის ხალხებზე გასაბატონებლად. იგი განსაზღვრულ ხანაში ხან ქართულ საზოგადოებას ემყარებოდა და სომხობაზე უსისინებდა, ხან სომხობას უჭერდა მხარს და ქართველობაზე ამხედრებდა, — და სომხურ-თათრულ დამოკიდებულებაში ხომ საბედისწერო როლი ითამაშა და ამ ორი ერის სისხლის დაღვრაც მოახერხა. — ამ ხანაში თვითეული ერის გაბატონებული და მეთაური საზოგადოება რუსეთის პოლიტიკის ასეთ ანკესზე იყო წამოგებული და არ ესმოდა მას ტრაღიული მდგომარეობა არამც თუ კავკასიისა, არამედ თავისი ერისაც; და ეს ასახსნელია, ვინაიდან იმ ერების მესვეურები თავისი ინტერესებით ხელმძღვანელობდენ და არა ერის უმაღლესი ინტერესებით. ამ ურთიერთ მტრობა-ბრძოლაში, რომელსაც რუსეთის მთავრობა ხელოვნურად და განზრახ იწვევდა, კავკასიის ხალხთა ნამდვილი მიზანი და ინტერესები იღუპებოდა..

მართალია, მოისმოდა ხმები კავკასიელ ერთა გაერთიანებისათვის, მაგრამ ეს იყო ცალკეული ხმები, და თვით მოძრაობა კი ამ ერთობის აღთქმით არ არსებობდა, და რუსეთიც ყოველ ზომას ღებულობდა, რათა იგი არ ჩასახულიყო. ამ ძველთა-ძველ პოლიტიკას ძველ რუსეთთან ერთად რევოლუციის დროს ბოლო მოეღო და კავკასიელი ერებისათვის თავისუფალი ცხოვრებისა და მოწყობის ახალი ხანა დაიწყო. ომისა და რევოლუციის დროს, ისტორიულ მოვლენათა შედეგად, ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა შეიქმნა და უნდა გვეფიქრა, რომ წარსულ გამოცდილებით განსწავლული კავკასიელ ხალხთა წინამძღოლები ახლა მაინც დაადგებოდენ კავკასიის გაერთიანებისა დ მისი განმტკიცების გზას, მაგრამ საგარეო ძალამ (ოსმალეთი) და შინაგან არევდარევამ ორიენტაციის საკითხში კავკასიური ერთობა გასტეხა; ერისა და კავკასიის ინტერესების გაუგებრობის და გარეშე ძალის დაწნევის შედეგად ამიერკავკასიის რესპუბლიკა დანაწილდა და სამი რესპუბლიკა შეიქმნა.

ოღონდ ოსმალეთის საფრთხე მალე წავიდა და მაშინ ხომ მაინც უნდა დასმულიყო კავკასიის გაერთიანების საკითხი; მაგრამ კავკასიის ინტერესების აუთვისებლობა, გაბატონებულ პარტიათა მიზნობრივი მისწრაფება გახდა იმისი მიზეზი, რომ კავკასიის ერთობა მიღწეული არ იქმნა; და უკვე ფეხზე წამომდგარი, იარაღითა და სულით გაძლიერებული ჩრდილო მეზობელი — რუსეთი კვლავ კავკასიაში შემოიჭრა და თითოულად აქ არსებულ რესპუბლიკებს დამოუკიდებლობა მიუღო და ცალ-ცალკე მოსპო.

ბოლშევიკური რუსეთი მოვიდა კავკასიაში იმ აღთქმით, რომ იგი ხალხებს ეროვნულ თავისუფლებას მისცემდა — იმპერიალისტებისაგან გაანთავისუფლებდა და სოციალიზმს დაამყარებდა. გარნა როგორც ეს მოსალოდნელი იყო, ეროვნული თავისუფლების მაგივრად ბოლშევიზმმა მოსკოვისაგან ეროვნული დამოკიდებულება შექმნა და განამტკიცა; და სოციალიზმის ნაცვლად — ეკონომიური მონობა. პოლიტიკურად კავკასია ისევ „სანამესტნიკოდ" გარდაიქცა; ეროვნულად — მოსკოვის მოახლედ და მოსკოვური იმპერიალისტური პოლიტიკის მონად; ეკონომიურად — მოსკოვის ცენტრალ ხელისუფლების კოლონიალური პოლიტიკის ასპარეზად და კავკასიის სიმდიდრეთა მხეცური ცარცვის საგნად.

ის მოჩვენებითი და გარეგნული ამშენებლობა, რომელზეც ბოლშევიკები ასე ბევრს ჰყვირიან, ბოლოსდაბოლოს, თუ ჩვენ მათ მოღვაწეობას შევაჯამებთ, კავკასიის ხალხებს მოგებას არ აძლევს; იანგარიშეთ: რამდენი მიაქვს მოსკოვს და რას უბრუნებს იგი კავკასიას; და ეს ანგარიში კავკასიის მიმართ მოსკოვის კოლონიალური პოლიტიკის ნამდვილ ხასიათს გაგვაგებინებს.

დიახ, ახლა კავკასიის ხალხები გაერთიანებული არიან. მაგრამ ისინი ჩაჭედილი არიან საპყრობილეში და ამ ციხის მკაცრი მეთვალყურეა ივანე მოსკოვი, რომელიც კავკასიის ხალხთა ნაციონალური ძალების თავისუფალ განვითარებას ხელფეხს უკრავს და ხუნდებს ადებს. ხოლო კავკასიის ხალხები ამ საპატიმროს არ ურიგდებიან; მათ არ სურთ რუსეთის გაყვლეფის საგანი იყვნენ და დამმონებელთ ებრძვიან. ამ ბრძოლაში გმირობის მაგალითები ბევრი ვიხილეთ ამ უკანასკნელი 16 წლის მანძილზე, მაგრამ ჩვენ ნათლად იმ შეცდომებსაც ვხედავთ, რომელნიც კავკასიის ერების თავისუფლების დაღუპვაში საბედისწერო იყო. ვიღას არ გაეგება დღეს, რომ ამ დაღუპვის ერთი მთავარი მიზეზი იყო კავკასიის ერების დაყოფა-დანაწილება; ეს ყველამ იცის, — მაგრამ ყველამ არ იცის ან არ სურს იცოდეს, რომ პარტიული სხვადასხვაობა, და საერთოდ ხელისუფლების პარტიულობა, პარტიულობა, თავისი ეგოისტური ინტერესებითა და მიზნებით, იყო ამავე დაღუპვის მეორე მთავარი მიზეზი, — და ამიტომ ჩვენი მოძრაობის ამოცანაა არა მარტო კავკასიელ ხალხთა ერთობის ლოზუნგის განმტკიცება, არა მარტო კავკასიის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა, არამედ იმ პოლიტიკური მიმდინარეობის შექმნაც, რომელიც პარტიულობის მოსპობასა და ერის პრინციპის უზენაესობის დამკვიდრებას, ინტეგრალური ნაციონალიზმის განხორციელებას მიზნად ისახავს.

რა უნდა ვქმნათ? — განვაგრძოთ ბრძოლა კავკასიის დამოუკიდებლობისათვის და შემოვკრიბოთ ჩვენი მოძრაობის გარშემო, ინტეგრალური ნაციონალიზმის მოძრაობაში ჩავაბათ კავკასიელი ხალხები. და ჯერ კი ჩვენ იმ ჯგუფთა გაერთიანებით ვიწყებთ, რომელნიც აღნიშნულ ნიადაგზე სდგანან; — აქ ჩვენ დავრაზმავთ და შევკრავთ მათ, ვინც კავკასიის დამოუკიდებლობისა და თითოულ მხარეში ინტეგრალური ნაციონალიზმის დროშას გაჰყვება. ერის ერთობა, ხელისუფლების ერთობა კავკასიის ერთობასთან ერთად — აი ჩვენი მისწრაფებანი და ახლო მიზანი.

ვიკ. ნოზაძე

*) ეს წერილი დაიბეჭდა ჩვენს თანამოძმე სომხურ გაზეთ „აზგ"-ში.

ერის გელადი

ამ თვის 28-ს კვლავ შეიკრიბება ქართული საზოგადოება იმ ადამიანის სამარესთან, რომელმაც გრიგალივით გადაიარა საქართველოს ბრძოლის ველზე და ქართული სულისა და ვაჟკაცობის ტრადიცია კვლავ გააცოცხლა.

იგი გამოვიდა ქართველი ერის საშოდან და თან მოიტანა ცეცხლი თავისუფლებისა და განწმინდა მით შერცხვენილი ხმალი, მენშევიკური მთავრობის მიერ დაგდებული.

ერის შვილი, ერთან მყოფი გაჭირვებაში, ერის მიწა-წყალზე იარაღით იცავდა იგი სამშობლოს თავისუფლებას— სისხლით ჰბანდა წმიდა რწმენასა და ბრძოლის ჟინს.

უკანასკნელამდე: გაშლილი დროშით და ამოღებული სატევარით გოჯს გოჯაზე იცავდა მიწას...

ეს ჩვენი ეროვნული გმირია — ქაქუცა ჩოლოყაშვილი! — აქ უცხოეთში უდროოდ გარდაცვლილი და უცხო ცის ქვეშ უცხო მიწას მიბარებული!

სამგლოვიარო დღეს, პარიზში მყოფი ქართული საზოგადოება კვლავ შეიკრიბება, თავს დაჰხრის იმ საფლავის წინაშე, სადაც იმარხება და ინახება ჩვენი ეროვნული გმირი, გადატეხილი ხმლით, ქაქუცა, რომლის ხსოვნა საქართველოსათვის მარადიულია.

ფრ. წულუკიძე

გაზეთი
თეთრი გიორგი
გამოიცემა ყოველთვიურად. მიიღება ხელისმოწერა.
წლის ბოლომდე ეღირება 15 ფრანკი

თეთრი გიორგის ზრდა

თერთი გიორგის მოძრაობა დღითი-დღე იზრდება. განსაკუთრებული განვითარება მას დაეტყო უკანასკნელ წელთა განმავლობაში. დედამიწის ყველა კუთხეში, სადაც კი მშობლიურ მიწა - წყალს მოწყვეტილი ქართველები მოიპოვებიან, ყველგან არსებობს თეთრი გიორგის განყოფილება. მიმდინარე წელს ირანში დაარსდა თეთრი გიორგის ორგანიზაცია, რომელსაც დიდი აღტაცებით მიესალმენ სამშობლოდან გამოხიზნული ქართველები. თვით ირანში დიდი ხნიდან დაბინადრებულ ქართველთა შორისაც ჩვენმა მოძრაობამ დიდი გამოძახილი ჰპოვა; იქ დღეს თეთრი გიორგი აწარმოებს კულტურულ და ეროვნულ მუშაობასაც.

შორეულ აღმოსავლეთში, შანხაიშიც მიწვდა მძლავრი იდეები თეთრი გიორგისა, სადაც თითქმის მთელი ქართველობა ჩვენს მოძრაობას გამოეხმაურა. „იცოდეთ, რომ აქაური ქართველობა თითქმის მთელი თავისი შემადგენლობით სდგას თქვენს რიგებში"-ო, იწერებიან შანხაელი ქართველები, „რადგან დარწმუნებული ვართ, რომ მხოლოდ თეთრი გიორგი შესძლებს მოუპოოს სამშობლოს დაკარგული დამოუკიდებლობა"

ეროვნულად მოაზროვნე წრეებში, განსაკუთრებით ახალ თაობაში ჩვენმა მოძრაობამ დიდი თანაგრძნობა მოიპოვა. თეთრი გიორგის იდეები ამოძრავებს დღეს ყოველ ნამდვილ მამულიშვილს.

ჩვენ გვაქვს უტყუარი ცნობები საქართველოდან, რომ ახალმა თაობამ სავსებით და საბოლოოდ დაჰგმო ძველი თაობის დამარცხებული გზები და გულში იდუმალად თეთრი გიორგის იდეებს ატარებს.

ჩვენ გვაქვს აგრეთვე ცნობები, რომ ემიგრაციაში არსებულ პოლიტიკურ პარტიებს საქართველოში არავითარი ძალა არა აქვთ, და თუ დღემდე ეგრედ-წოდებულ ჟორდანიას ცენტრს მანდატები ჩამოაქვს თითქო საქართველოდან, ჩვენ ვიცით, თუ ეს მანდატები სად და როგორ ითხზება ზოგიერთთა მოსატყუებლად.

საქართველოში მათი ადგილი დაიკავა თეთრმა გიორგიმ, რომლის იდეები მაგრად ფესვ-გადგმულია სამშობლოს მიწა-წყალზე. დღეს თუ ხვალ აქაც, საზღვარგარედაც თეთრი გიორგი შესცვლის ქართული საქმის ძველ დამარცხებულს მესვეურებს და ახლო მომავალში კი ეროვნული განმათავისუფლებელი ბრძოლის წარმოება შესაძლებელი იქნება მხოლოდ თეთრი გიორგის სახელით, თეთრი გიორგის დროშით.

ყველაფერი ეს კარგად იციან ჩვენი მოძრაობის მტრებმა, როგორც მარცხნიდან, ისე მარჯვნიდან, და სწორედ ამით აიხსნება მათი გაშმაგებული ბრძოლა ჩვენს წინააღმდეგ. ბრძოლა მალული, უზნეო, ბოროტი. ჩვენ ბევრი ამაღელვებელი ამბებიც ვიცით მათ „რაინდულ მუშაობაზე", რომელთა გამოქვეყნება შეუძლებლად მიგვაჩნია, რადგან ჩვენი მოძრაობა მაღალ მორალურ პრინციპებს ემყარება და ბრძოლის მეთოდიც სხვა გვაქვს, პირდაპირი, რაინდული!

მართალია, ჩვენ გვიხდება მუშაობა ბოროტებით და შურით აღსავსე ადამიანთა შორის, მაგრამ ჩვენმა მოძრაობამ უკვე შეჰქმნა ძლიერი კადრი უანგარო მამულიშვილთა, რომელთაც შეგნებული აქვთ უზენაესი მოვალეობა და სრული პასუხისმგებლობა სამშობლოს წინაშე, მისი წარსულისა, აწმყოსა და მომავალისადმი. ეს კადრი ერთგულ მუშაკთა ახალი თაობისაგან დღეს იმდენად ძლიერია, გაწრთვნილი და სულიერად ამაღლებული, რომ ვერავითარი ძალა ჩვენს მოძრაობას ვერ დაამარცხებს. ნიადაგიც, რომელზეც თეთრი გიორგი წარმოიშვა, იმდენად მყარია და მტკიცე, იდეაც სპეტაკი, კეთილშობილი და ძლიერი, რომ ვერავითარი გამოლაშქრება, ვერავითარი ჩხირკედელაობა მის ზრდას და წინსვლას ვერ შეაფერხებს. ჩვენ არ გვაინტერესებს ილაჯ-გაწყვეტილი და პიროვნული ანგარიშით აღსავსე ძველი თაობა. ჩვენი მოძრაობა ახალმა თაობამ შეჰქმნა და იგი დარჩება ახალი თაობის მოძრაობად. დღეს და მომავალშიაც მას ახალი თაობა გაუძღვება, რომელიც საქართველოს სულისკვეთების ღვიძლი შვილია. თეთრი გიორგი მისაწდომია მხოლოდ მაღალ სულოვანთათვის, იგი ვერ ითმენს სულიერად დაცემულთ, ამბიციათა და პირადი ზრახვებით შეპყრობილთ, რადგან ჩვენი მოძრაობა უმთავრესად სულიერი კულტურის განვითარებას და ზნეობრივ გაჯანსაღებას ემსახურება.

კ. სალია

ქართველი ახალი თაობის სულისკვეთება

გაბოლშევიკებული რუსეთის ბატონობის დროს საქართველოში წამოიზარდა ახალი ქართველობა, რომელსაც არავითარი ნათესაობა არა აქვს, არც სულიერი და არც ზნეობრივი, მენშევიზმთან და რუსულ ბოლშევიზმთან. სრულიად ახალი სულისკვეთება ჩნდება და ღმერთმა იცის თუ რა გზით და რა საშუალებით მოხდა ყოველივე ეს. რევოლუციის დროში დაბადებულებმა ვერ იხილეს ბედნიერების დღენი და ამიტომ არ უყვართ რევოლუციები. ამ ახალ თაობას აღზრდა რუსეთის ხელისუფლების ქვეშ აქვსთ მიღებული და უმაღლესი სწავლაც ამავე დროს აქვსთ შეძენილი. საქართველოს დამოუკიდებლობა ხომ სიზმრადაც არ ჩაითვლება ახალი თაობის აღზრდაში. მიუხედავათ დღევანდელი რუსების სასტიკი წესწყობილებისა, სწავლადასრულებულ ახალგაზდათ კვლავ უღვივით გრძნობა თავის ქვეყნისადმი, კვლავ ნატრობენ მსწრაფლ მოწყვეტილ ვარსკვლავზე საქართველოს დამოუკიდებლობისა! ეს წმიდა გულის ნატვრა არ არის პოეტური და არც ფერადოვანი ოცნება! მონურ ფსიქოლოგიას თავი დაახწიეს და მხოლოდ ნატვრით და ფიქრებით აღარ კმაყოფილდებიან.

ერთი აქტიური ნაწილი ქართველი ახალგაზრდობის საზღვარგარეთ გამოვიდა, რომელიც პოლიტიკურად მოუმზადებელი არის. ქართულმა პოლიტიკურმა ერთმანეთის საწინააღმდეგო აზრებმა გზა-კვალი აუბნიეს და მას გადმოხვეწილების ბედი არგუნეს. საქართველოში კი პოლიტიკური პარტიები არ არსებობენ, არამედ ერთი მთლიანი მოძრაობა არის შექმნილი და მხოლოდ და მხოლოდ ეროვნული მიზნებით არის ამოძრავებული. პარტიული ჭია აღარა ღრღნის ახალგაზრდობის გულს და მარქსისტული სულმდაბალი სული ვეღარ ერევა გაჯანსაღებულ აზროვნებას. მენშევიკი მარქსის გზას აღარ ადგია, არც ნაციონალ-დემოკრატი ჟან-ჟაკ - რუსოსი, ფედერალისტებიც აღარ მენშევიკობენ და სხვა. საქართველოში ახალგაზრდობა თავისუფალია ყოველგვარი პარტიული დაჯგუფებისაგან და ახლად დაწყებულ ეროვნულ მოძრაობას აღფრთოვანებული ხელით მიეზიდებიან.

რამდენად სასიხარულოა ის მოვლენა, რომ ახალმა თაობამ თავისი შეუდრეკელი ნებით მიხწია ქართული სულის განსპეტაკებას, პატრიოტული ნების გამომჟღავნებას.

საქართველოს დამოუკიდებლობის დაღუპვამ თვალები აუხილა მოზარდ თაობას და უფრო ნათელი მიზანი გაშალა მის მისწრაფებაში. რუსულ სკოლაში აღზრდილმა წინა-თაობამ ვეღარ ზიდა შელახული თავმოყვარეობა, უკუ-აგდო მარქსისტების , ბოროტმოქმედების და კომუნისტების მრწამსი და წმიდა სულით ახალგაზრდობისა დღევანდელ ეროვნულ მოძრაობას შეუერთდა და შეედუღა. ევროპის აზროვნებას არ ჩამორჩა საქართველოც და მისი ცხოველი სხივები უნათებენ ახალ თაობას მიზნებს.

ქართველი ახალგაზრდობა არც ისეთ სიბნელეშია, რომ ვერ მისწვდეს ახალ განთიადს განათლებისა და წინსვლისას. ჩვენ გვწყურია ეროვნული აზროვნება, სამშობლოს სიდიადე და ძლიერება. „თეთრმა გიორგიმ" ჩაახწია სა-

ქართველოში და იქ გაიმაგრა ფესვები. იგი მოედო ერის სასიცოცხლო ძალებს — ახალ თაობებს.

წმინდა ქართული აზროვნება იზიდავს ყველა ფენებს დაჩაგრული ქართველობისა. ახალგაზრდობა მალე ითვისებს ახალ აზრებს და საკუთარი დაკვირვებით უკეთესის არჩევანში გონება-გახსნილი შედის. მენშევიკების გავლენით ქართველი ლტოლვილები დღესაც ვერ არჩევენ ერთმანეთისაგან ფაშიზმსა და ბოლშევიზმს; საქართველოში უფრო ნათლადა სდგას საკითხი: ჩვენი მტერია რუსეთი და მხსნელი კი ქართული ფაშიზმი. მის გამარჯვებასთან არის დაკავშირებული მისი მიზანიც: ქართული სახელმწიფოს აღდგენა!

ქართულმა ჯიშმა ამოიყარა და თეთრ-გიორგულმა აზროვნებამ სული ჩაუდგა საქართველოში მოზარდ თაობას. მას არაფერი საერთო აღარა აქვს საუკუნოვან მონობის ფსიქოლოგიასთან. მთლად ახალი თაობაა ანაზდეულად მოვლენილი და გადრაქმნილი. და პატრიოტულმა აღფრთოვანებამ გააკეთილშობილა ახალი მემკვიდრენი საქართველოსი, ჭკუა და გონება განუნათლა და განიმტკიცა სრული რწმენა მომავალი საქართველოსი, იდეალად შექმნა ძლიერი საქართველო, მთელი ჩვენი ისტორიის განახლება და ცოცხალ სინამდვილედ ქცევა მისი, რაც საუკეთესო იყო ჩვენს წინაპართ ცხოვრებაში, რაც მომხიბლელი და წარმტაცია ოქროს ხანისა და გმირების მოღვაწეობაში.

ბეჟან გიორგაძე

აპრილი, 1936 წ. დამასკო.

ორი ქართველი

უკრაინული ჯარის გმირები

წერილი პირველი

ორმა ქართველმა: გენერალმა ფილიპე ქევახოვმა (ქართულად ჯავახიშვილმა) და გენერალმა ნათიევმა (ქართულად ნათიშვილმა) უკრაინის სამხედრო ისტორიაში ნათელი კვალი დასტოვეს.

პირველის სამსახური და მოღვაწეობა ეკუთვნის ნაპოლეონის დროის ომებს. 1812 წ. ნაპოლეონმა რუსეთზე გაილაშქრა. რუსეთის მთავრობა მეტად დიდ გაჭირვებაში ჩავარდა, რადგან უძლური ნაპოლეონის უზარმაზარი არმიისათვის წინააღმდეგობა გაეწია. ამ მწარე წუთში იმპერატორ ალექსანდრე პირველს ურჩიეს: „ისარგებლეთ უკრაინელი ხალხის სამხედრო საქმისადმი მიდრეკილებით და განუღვიძეთ მას ჯერ კიდევ ჩაუმქრალი საუკუნოვანი კაზაკური ტრადიციები“-ო.

1812 წ. 5 და 25 ივნისის „უქაზით“ ალექსანდრე პირველმა მოწოდებით მიმართა კაზაკებს დახმარებოდენ მას მტერთან ომში და ამასთანავე აღუთქვა „სამუდამოდ უკრაინულ კაზაკურ ჯარის აღდგენა“. ამ აღთქმას უკრაინა სიხარულით შეხვდა და რამოდენიმე კვირის განმავლობაში გამოიყვანა 19 მხედარ-კაზაკთა რეგულიარული პოლკი. სხვათა შორის პირველმა პოლკმა ბრძოლით გაიარა მთელი ევროპა და მას ქებით იხსენიებს როგორც ფრანგული ,ისე გერმანული პატაკები.

ამ პოლკის შედგენის დროს, ერთმა ცნობილმა უკრაინელმა პატრიოტმა, ეკატერინე მეორის დროის დიდმა კაცმა, ტროშჩინსკიმ, რომელიც უკრაინის ეროვნულ-პოლიტიკური აღდგენის იმედით იყო გატაცებული, წინადადება მისცა ალექსანდრე პირველს, შეედგინა უკრაინული ქვეითი ჯარიც (ოპოლჩენიე), მხოლოდ იმ პირობით, რომ ყველა უკრაინულ ჯარს თავისი ეროვნული ხასიათი შერჩენოდა. რუსეთის მთავრობა ისეთ ცუდ მდგომარეობაში იყო მაშინ, რომ ეს პირობა მიიღო. 1812 წ. ივლისის 31-ს, ტროშჩინსკიმ მოიწვია პოლტავაში უკრაინის თავადაზნაურთა ყრილობა და მოუწოდა მას ამ საქმესავენ. ამ კრებაზევე წარმოსდგა საკითხი ამ ჯარის სარდლობის შესახებ. იბრძოდა ორი მხარე: რუსოფილური და ეროვნულ-უკრაინული, და ორივე თავის კანდიდატურას ასახელებდა. ტროშჩინსკიმ გადასჭრა საკითხი დათმობით, მაგრამ, როგორც ქვემოდ დავინახავთ, უკრაინის ინტერესების მიხედვით. სარდლად დანიშნეს ქართველი გენერალი, თავადი ფ. ქევახოვი, წარმომადგენელი იმ ქართული ემიგრაციისა, რომელიც იმპერატრიცა ანნა იოანოვნას სახურიდან გასული, ცხოვრობდა უკრაინაში, პოლტავის დროს სცხოვრობდა რუსეთში; ეს ქევახოვი იმ ხანად სამგუბერნიაში, დაბა ბელიკახში. ქევახოვი ჯარის შედგენა-მოწყობას მუყაითად შეუდგა და მალე შეაყენა იგი 16.116 ქვეითი და 6.500 მხედარისაგან, თავისი არტილერიით. 1812 წ. ოქტომბერში თ. ქევახოვმა მიიღო კუტუზოვის ბრძანება სალაშქროდ გასულიყო. ქევაიოვმა სწრაფი ნაბიჯით გაიარა ვოლინი და შევიდა ვარშავის საჰერცოგოში. 1813 წ. მარტში ქევახოვი დაუქვემდებარეს გენერალ როტას ბრძანებას და გააგზავნეს ციხე ზამოსტიეს ასაღებად, სადაც ჩასაფრებული იყო ნაპოლეონის ერთგული პოლონური ჯარი. ციხის ალყა გაგრძელდა 7 თვეს; ამ დროს კუტუზოვის ბრძანებით ქევახოვმა გადააჯგუფა ჯარი და შეჰქმნა მისგან რეგულირული 4 პოლკი ქვეითი და 7 პოლკი მხედართა, როგორც თვით ქევახოვი აუწყებდა ტროშჩინსკის.. მაგრამ ამ პოლკებს გარდა მას დაუქვემდებარეს მეორე რეგულიარული უკრაინული კაზაკური ბრიგადა. დიდი და მძიმე საალყო ბრძოლების შემდეგ, 1813 წ. ნოემბერში ციხე ზამოსტიეს ჯარი დანებდა და ქევახოვმა დაიკავა იგი. მთელი 1814 წ. ქევახოვი დარჩა ვარშავის საჰერცოგოში, საიდანაც თავის ნაწილებს იგი აგზავნიდა გერმანიაში, ბოჰემიაში და სხვაგან. მაგრამ მტერთან ბრძოლის გარდა ქევახოვს ბრძოლა უხდებოდა რუს უფროსებთან, რომელთაც დაჟინებით უნდოდათ ეს უკრაინული რუსულ ჯარებად გადაექციათ. მაგრამ ქევახოვის შეურყეველმა, მტკიცე რწმენამ უკრაინულ ეროვნული იდეისადმი, დასძლია რუსის გენერლებს და თვით კუტუზოვმაც კი გასცა ბრძანება: დაანებონ თავი ქევახოვს, ვინაიდან მისი ჯარები „შემოუერთდენ არმიას სამხედრო დროის პირობათა გამო და ინარჩუნებენ ყველა იმ უპირატესობას, რომელიც მიეცა მათ შედგენის დროს“ იმპერატორის მიერ-ო. თავადი ქევახოვი და უკრაინელები ზეიმობდენ. თვით ქევახოვი მეტად ზრუნავდა თავის ჯარზე ამ მძიმე ომების დროს, მისი სახელი განთქმული იყო და ეძახდენ მას „კაზაცკო ბატკას“.

ომის გათავების შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა. იმპერატორმა ალექსანდრემ თავისი აღთქმა სხვანაირად განმარტა და უკრაინული ჯარის აღდგენის მაგივრად, რამოდენიმე პოლკისაგან მოაწყვეს არაკჩეევ-ული „უკრაინული სამხედრო სოფლები“; დანარჩენი პოლკები კი დაშალეს. უკრაინის თავადაზნაურთა ყრილობაზე ტროშჩინსკიმ უკრაინის სახელით ქევახოვს სამხედრო სამსახურისათვის მადლობა გამოუცხადა, ხოლო რუსის მთავრობამ არამც თუ დაჯილდოვა იგი, არამედ მას პენსიაც კი გაუნახევრა. თ. ქევახოვი დასახლდა ისევ ბელიკახში, სადაც ცხოვრობდა ღარიბად, "უგლეხოდ, უმიწაწყლოდ, ნახევარ პენსიაზე".

უკრაინის ინტერესების ერთგული და მისი სახელოვანი მმართველი თავ. რეპინი შეეცადა ქევახოვისათვის ეშუამდგომლა, მაგრამ ქევახოვი მალე (1818 წ.) გარდაიცვალა —უკრაინის სამხედრო ისტორიამ მადლობით ჩასწერა თავის განთქმულ ფურცლებზე უკრაინის ერთგული შვილის თავად ფ. ქევახოვის სახელი.

ო. პერეიასლავსკი*)
O. Perejaslawsky

*) ბ. პერეიასლავსკი გახლავს უკრაინის სამხედრო ისტორიის ცნობილი მწერალი; და მან კეთილ ინება ჩვენთვის გადმოეგზავნა ეს ნარკვევი, რომლის დასასრული შემდეგ ნომერში მოთავსდება.

ჩვენი შინაური ცხოვრება

ბ-ნი მიხ. წერეთელი მეთაურობიდან გადადგა და თავისი უფლებები მომავალ ყრილობამდე მის მოადგილე შ. მაღლაკელიძეს გადასცა.

მისალმება თეთრი გიორგის

„შორეულ აღმოსავლეთში, ქ. შანხაიში მცხოვრები ქართველები გიძლვნით სალამს! მიიღე თჩვენი რწმუნება თქვენი დიდი პატივისცემისა და თანაგრძნობისა. იცოდეთ, რომ აქაური ქართველობა თითქმის მთელი თავისი შემადგენლობით სდგას თქვენს რიგებში, რადგან დარწმუნებული ვართ, რომ მხოლოდ „თეთრი გიორგი“ შესძლებს მოუპოვოს ჩვენს უბედურ სამშობლოს დაკარგული დამოუკიდებლობა. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ როცა დადგება დრო და „თეთრი გიორგი“ ტფილისის რადიო-სადგურიდან აუწყებს ქვეყნიერებას საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებაზე, თავის თავს მოვალედ არ ჩასთვლის „მსოფლიო პროლეტარიატის“ წინაშე ამის გამო, არამედ ის წმინდა, დიდი, უანგარო სიყვარული „თეთრი გიორგისა“ სამშობლოსადმი მისცემს მას უნარს და ძალას განამტკიცოს საქართველოს სახელმწიფოებრივობა და მის გაბნეულ შვილებს მის დედამიწაზე ცხოვრების ნებას... გაგიმარჯოთ!“... ხელს აწერენ: — **ნ. მახარაძე, ი. პაატაშვილი, ი. ნოზაძე.**

შანხაის ქართველთა საზოგადოებას.

ძვირფასო ძმებო! სიხარულით აღგვავსო თქვენმა წერილმა, ქვეყნის უშორეს კუთხითგან ქართველ მამულიშვილთა გამოძახილმა, ვაჟკაცურმა სიტყვამ.

ეს მეათე წელიწადია, რაც „თეთრი გიორგი“ შრომითა და ღვაწლით, ტანჯვითა და წვალებით სცდილობს გზა გაუკაფოს ქართველთა შორის ახალ იდეას, ნამდვილ და უმაღლეს ეროვნულ იდეალს, და შეუქმნას ქართველის გულს ახალი, ძლიერი რწმენა.

ამ იდეალმა და რწმენამ უდიდესი ერები ევროპისა, დამარცხებულნი ან დასუსტებულნი და დაცემულნი, — დღეს უძლიერეს ერებად აქციეს, უდიდეს სიმაღლემდე აიყვანეს, რათგანაც მათ მარქსიზმი, ბოლშევიზმი და მისნი მსგავსნი მოძღვრებანი, ერის დამრღვევნი და დამაქცეველნი, სძლიეს, და ნაცვლად ერის მთლიანობა განსჭედეს და სამარადისოდ განამტკიცეს.

საქართველოსაც ეს ახალი იდეალი და ახალი რწმენა იხსნიან;— "თეთრი გიორგის" იდეალი და რწმენა პირდაპირ უცხოეთითგან კი არ შემოჭრილან ჩვენს შორის, არამედ თვით საქართველოში [illegible] საქართველომ, ერის დამრღვევ მოძღვრებათაგან ყველაზედ უფრო ვნებულმა ქვეყანამ, [illegible] ღუპვა, როგორც ბუნებრივი შედეგი ამ მოძღვრებათა ორმოცი წლის ბატონობისა.

ამიტომ არის „თეთრი გიორგის“ იდეა ქართულ-ეროვნული, ცხოველი, და მისი განხორციელებაც მომავალში უზრუნველ-ყოფილი! საქართველო არც ჩვენით დაწყებულა, არც ჩვენით გათავდება: იგი მარადისია. და უმაღლესი მოვალეობა ყოველი ქართველი მამულიშვილისა არის მისი თავისუფლებისა და აღშენებისათვის ბრძოლა, უპირველეს ყოვლისა მსხვერპლით! მოვესწრებით თვით ჩვენ ჩვენი იდეალის მიხწევას, ბედნიერნი ვიქმნებით, და ჩვენ უკანასკნელ ძალებს კიდევ ქვეყნის აღშენებას შევსწირავთ, ხოლო თუ ვერ მოვესწრებით, დავკმაყოფილდებით დიდი და კეთილშობილი გრძნობით, რომ ჩვენ შვილთა და შვილიშვილთ გადავეცით მემკვიდრეობა ჩვენი ბრძოლის განგრძობისა: დაე ისინი მოესწრნენ გამარჯვებას და მათ მოუარონ განთავისუფლებულ ქვეყანას, მამათაგან მომზადებულ მტკიცე საფუძველზედ დამდგართ!

ჩვენ, წარმავალნი, ვიბრძვით მარადისი საქართველოსათვის და არ ვერიდებით არავითარ მსხვერპლს. „თეთრი გიორგი“ ასეთი სულით არის გამსჭვალული და სცდილობს ეს სული ჩაუდგას ყოველ ქართველ მამულიშვილს, სადაც არ უნდა იყოს იგი.

ამით გავიმარჯვებთ — სულ-გრძელობით, შორს-ხედვით, შეუდრეკელობით, მარადის იმედით და რწმენით, შთამამავლობისათვის გადაცემით ჩვენი იდეალისა და რწმენისა, შრომით, ღვაწლითა და მსხვერპლით. და გვრწამს, რომ ბოლოს საქართველო კვლავ აღსდგება თავისუფალი, გაბნეულნი ქართველნიც კვლავ შეკრბებიან სამშობლოს მიწა-წყალზედ, და ერთობ ქართველობასაც საკმარისი ნიჭი და ძალა ექმნება, რომ ქვეყანას ღირსეულად უპატრონოს და კვლავ აღარ ჩაუგდოს მტერს ხელში. მაშინ აღარც საქართველოს შვილნი განიბნევიან მთელ ქვეყანაზედ! — დიდება და გამარჯვება საქართველოს! დიდ-სულოვნობით გამარჯვება თქვენ, ძვირფასო ძმებო! „თეთრგიორგული“ სალამით **მ. წერეთელი.**

4 მაისი, 1936 წ. ბერლინი.

თეირანიდან (ირანი) მივიღეთ ი. ლობჟანიძისაგან 60 რიალი; გრ. გამყრელიძისაგან —20 რიალი; თ. ქლივიძესაგან — 50 რ; ნ. წერეთელისაგან — 50 რ; კ. დანელიასაგან — 20 რ; ნიშნების — 140 რიალი; დედაენის — 36 რიალი — სულ — 376 რიალი.

ყველას მათ თეთრი გიორგი უღრმეს მადლობას უთვლის.

წაკვრით

მას შემდეგ, რაც ბ. ილია ნუცუბიძე "საერთო ფრონტში "შეიჭრა, უკეთ რომ ვსთქვათ,— მას შემდეგ, რაც მაგ რევოლუციონერმა რევოლუცია მოუწყო თავის ლიდერს ბატონ იოსებ გობეჩიას და რევოლუციური წესით და უმანდატოთ დაიპყრო უკანასკნელის მანდატური სიეჟი, — მეტად პესიმისტურად, მაგრამ ერთობ პოეტურად იწყებს წერილს „დამოუკიდებელ საქართველო“-ში:

„ქვეყანა არეულია: მზე აღარ მზეობს, მიწა უკუღმა ბრუნავს;

ფაშიზმი, ნაციონალ - სოციალიზმი, თეთრი გიორგი.

მთელი ქვეყნის კულტურულ ერთა წიაღში ორი დიდი იდეა იბრძვის დღეს საბოლოო გამარჯვებისათვის და გაბატონებისათვის: იდეა მარქსიზმისა, ინტერნაციონალურ სოციალიზმისა და იდეა ერისა, ფაშისტური ნაციონალიზმისა, ნაციონალ-სოციალიზმისა. ეს ბრძოლა მით უმეტეს გამწვავებულია, რომ ორივეს არსება და სახე გამოცხადდა იქ, სადაც ერთიცა და მეორეც უკვე გამარჯვებულია და ბატონობს: მარქსიზმი რუსეთში, ფაშიზმი იტალიაში და ნაციონალ-სოციალიზმი, რაიცა გერმანული ეროვნული ფაშიზმია, გერმანიაში. და ამ განცხადებულ ომში თუ რომელი გაიმარჯვებს და გახდება საფუძვლად ყველა კულტურულ ერთა ახალი ცხოვრებისა, იმაზედ არის დამოკიდებული ბედი ამ ერთა და ერთობ ყველაფრისა, რასაც კულტურა და ცივილიზაცია ეწოდება.

მარქსიზმი წარსული საუკუნის მეორე ნახევარში მოევლინა ჯერ ევროპას და მერმე მთელ კულტურულ კაცობრიობას, როგორც მთლიანად ჩამოსხმული დიდი მოძღვრება სოციალიზმისა და ამით სძლია სოციალიზმის ყველა სხვა ფორმებს, მის უწინარეს და მის შემდგომად წარმოშობილს. ფილოსოფიური საფუძველი მისი იყო გამატერიალისტებული დიალექტიკა, მეცნიერული დიალექტიკურ ბუნების-მეტყველებით. საზოგადოებათა განვითარება და ცვალებადობა რკინის კანონებს ემორჩილება და კაპიტალიზმიც, უკანასკნელი საფეხური საზოგადოების განვითარებისა, აუცილებლად უნდა შეიცვალოს სოციალიზმად, კომუნიზმად, და მსოფლიო კომუნიზმად, რათგანაც თვით კაპიტალიზმს მსოფლიო ხასიათი აქვსო. სოციალური უსამართლობა კაპიტალიზმის ბატონობაში მით არის გამოწვეული, რომ მშრომელთა ექსპლოატაციით კაპიტალისტთა კლასი ზედ-მეტ ღირებულებას ჰქმნის და აგროვებს, იგია პატრონი საწარმოო საშუალებათა, მის ხელშია მთელი ეკონომიური აპარატი საზოგადოებისა, ამიტომ სახელმწიფოც და პოლიტიკური აპარატიცო. ოჯახი დამცველია მის ინტერესთა, ეკლესია მოკავშირე მისი და მონაწილე მშრომელთა ექსპლოატაციაში, სარგებლობს რა ხალხის უვიცობით და ცრუმორწმუნეობით, რათგანაც სარწმუნოება ცრუმორწმუნოებაა, რომელიც მატერიალისტურმა მეცნიერებამ თავითგან და გულითგან უნდა ამოუღოს ხალხსო. სამშობლო პროლეტარს, მუშას არა აქვს, რათგანაც მას საკუთრებაც არა აქვს, გარდა მისი სამუშაო ძალისა, რომელსაც ის კაპიტალისტს შრომის ბაზარზედ ჰყიდის და რომლის ექსპლოატაციით კაპიტალისტი სიმდიდრესა ჰქმნის, ხოლო ეს სიმდიდრე თვის შემქმნელს, მუშას, მშრომელ ხალხს, საზოგადოებას კი არ ხმარდება, არამედ კაპიტალისტს ექსპლოატატორსო. აქეთგან წარმოსდგება ბრძოლა კლასთა, სიმდიდრის პატრონთა და მშრომელთა შორის, და ეს უკანასკნელი, შეიგნებს რა თვის ინტერესს, შექმნის დიდ მხედრობას შრომისა, კანონიერი და რევოლუციური საშუალებით ჩაიგდებს ხელში ძალას და ამით მოსპობს კაპიტალიზმს, კლასიურ საზოგადოებას, და შექმნის უკლასო საზოგადოებას, საზოგადო კომუნისტურ საზოგადოებას, რომელიც მთელს ნაყოფს შრომისა მშრომელს მიანიჭებსო. პროლეტარს, მშრომელს ამ სოციალური რევოლუციით დასაკარგი არა აქვს რა, თვინიერ ბორკილთა, ხოლო მოსაგები მთელი მსოფლიო. და ამ უზარმაზარ ბრძოლაში საჭიროა არა მარტო ორგანიზაცია მუშათა კლასსისა ყოველ ქვეყანაში, არამედ სოლიდარობა მთელი ქვეყნის მუშათა, რათგანაც მათ ინტერესი ერთი აქვსთ და მიზანიც ბრძოლისა ერთიო. ერთი ერის მუშას მეტი საერთო ინტერესი, საზოგადოთ მეტი საერთო აქვს მეორე ერის მუშასთან, ვიდრე თვისივე ერის მოწინააღმდეგე კლასთა წევრთან. ამიტომ პროლეტარები ყველა ქვეყნისა უნდა შეერთდენ, გაერთიანდენ „ინტერნაციონალ“-შიო და სხ.

მარქსიზმმა მთელი ისტორიაც კლასთა ბრძოლად დასახა, ყოველი ცვალებადობა ადამიანთა საზოგადოებაში ფუნქციად მისი ეკონომიური საფუძვლის ცვალებადობისა, მთელი კულტურა ერისა ზედ-ნაშენად ეკონომიური საფუძვლისა, ახსნა იგი „ბოლოს და ბოლოს“ „ეკონომიურად“ და შესაფერისი იდეალიც დაისახა კომუნისტური უსახო საკაცობრიო საზოგადოებისა.

ერთის მხრით ამ ტყუილმა მეცნიერებამ საზოგადოებისა და ისტორიისა, მაგრამ მძლავრ ლოღიკაზედ აგებულმა და ძლიერი რწმენით აღსარებულმა, მრავალი მოაზრე მიიმხრო, ვისაც სოციალურ პრობლემათა გადაწყვეტა იდეალად ჰქონდა დასახული. მეორე მხრით ის სიმართლე, რომ მშრომელთა ექსპლოატაცია საწარმოო საშუალებათა და სხვა სიმდიდრის პატრონთა მიერ უსამართლობა იყო და ამას ბოლო უნდა მოჰღებოდა, იდეალი სოციალური სამართლიანობისა, რომელიც მარქსიზმს გარდა და მის უწინარეს სხვა მოძღვრებასაც ჰქონია, მარქსიზმმა უაღრესის ხელოვნებით გადაისროლა ხალხში და ამით შესძლო მან უზარმაზარ მუშათა ორგანიზაციებისა და პოლიტიკური პარტიების შექმნა, რომელნიც უდიდეს საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ძალად გახდენ კულტურულ სახელმწიფოებში.. დიდ ომამდე ეს მარქსისტული მუშათა ორგანიზაციები და პოლიტიკური პარტიები უძლიერესნი იყვნენ განსაკუთრებით გერმანიაში, იტალიაში, საფრანგეთში და სხვაგან. რუსეთშიაც უძლიერეს რევოლუციურ პარტიად ბოლოს მარქსისტთა სოც. დემ. პარტია გახდა და მან სძლია ყველა სხვა სოციალისტურ მოძღვრებათ, რიცხვითაც მასზედ უფრო ძლიერ პარტიათაც, როგორც მაგ. "ესერებს". ხოლო საქართველოში მარქსიზმმა კიდევ უფრო მაგრად მოიკიდა ფეხი, ვიდრე სხვა ქვეყნებში. თუ რუსეთში მარქსიზმის გამარჯვების მიზეზი იგივე იყო, რაც ევროპაში — ჩამოსხმული იდეოლოგია, თეორიულად ძლიერი, რომელიც მის აღმსარებელთ ფანატიური რწმენითა და მოქმედების ენერგიით აღავსებდა, საქართველოში მიზეზი მარქსიზმის გამარჯვებისა ამას გარდა კიდევ სხვა იყო: მიზეზი ნეგატიური ,სისუსტე ქართული ნაციონალიზმისა. ექვსასი წლის გარეშე მტრებთან და ნახევარი საუკუნის რუსეთთან ბრძოლაში დაღლილი და სისხლისაგან დაცლილი, რუსეთისაგან მოტყუებული საქართველო ისვენებდა, თუმცა რუსეთის მძიმე უღელი ადგა კისერზედ. იგი გაერთიანდა სამეფოთა და სამთავროთა შორის საზღვართა მოსპობით და რუსეთის მიერ ოსმალეთისაგან ქართულ ძველ მიწათა წართმევით და შემოერთებით, თუმცა ეს გაერთიანება საქართველოს უცხო გუბერნიებად გადაქცევად დაუჯდა. ქართველ ერს ეს უცხო ბატონობა გულს ვერ გაუტეხდა, იგი მას ბოლოს და ბოლოს ისევე გარდამავალ დროდ სთვლიდა, როგორც სხვა ეპიზოდებს თვისი ხანგრძლივი ისტორიისა, როდესაც მას პოლიტიკური თავისუფლების დაკარგვა არა ერთხელ განუცდია და კვლავ აღუდგენია თვისი სახელმწიფო. და მიუხედავად რუსეთის მძიმე რეჟიმისა და სწორედ მის წინააღმდეგ ბრძოლაში შექმნა ქართველმა ერმა გარეშე მტერთაგან მოსვენების დროს ახალი კულტურა, განგრძობა ძველისა, გამაგრდა ნივთიერადაც, და წელში გამართული კვლავ მზად იყო განეგრძო ბრძოლა დაკარგული თავისუფლების მოპოებისათვის. ჩვენი მწერლობა, პუბლიცისტიკა, ისტორიული მეცნიერება, ხელოვნება —ყველაფერი აღადგენდა იმ ეროვნულ სულს, რომელიც საჭიროა პოლიტიკური ბრძოლის წარმოებისათვის. და ეს ახალი საქართველო, რომელსაც ძველი სული თავისუფლებისათვის ბრძოლისა უნდა გაცხოველებოდა და გული უნდა გარკინებოდა, შეიქმნა მიუხედავად ამისა, რომ რუსეთმა მოგვისპო ქართული სკოლა ყრმათა ეროვნულად აღმზრდელი, მოსპო დამოუკიდებლობა ქართული ეკლესიისა, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში გვერდში უდგა ერს და ამაგრებდა მას კულტურულად და ზნეობრივად და აღვივებდა მის გულში თავისუფლების ცეცხლს. მოსპო ყოველი ეროვნული დაწესებულება და არ გვაძლევდა საშუალებას ახალი შეგვექმნა, გარდა რამოდენიმე უმნიშვნელოსი. და აი მაშინ მოგვისწრო მარქსიზმმა, როდესაც „ნაციონალიზმი“ საქართველოში ჯერ კიდევ რჩეულთა იდეა იყო, ხალხში ნაკლებად გავრცელებული. ხოლო ეროვნულ ორგანიზაციათა, პარტიათა შექმნა არც კი დასცლია მას. მოგვევლინა მარქსიზმი როგორც ძლიერი, ფანატიური მოძღვრება ერის უარყოფისა, კლასსთა ბრძოლისა, საერთაშორისო სოლიდარობისა, მინიმალური პროგრამით რუსეთში დემოკრატიული რესპუბლიკის განხორციელებისა და მუშათა და გლეხთა მდგომარეობის გაუმჯობესებისა, ხოლო მაქსიმალური პროგრამით, სოციალისტური სამოთხის შექმნისა მთელს მსოფლიოში. რა მნიშვნელობა ჰქონდა მათ მოძღვართა სიტყვით ერს, განსაკუთრებით პატარა ქართველ ერს, როდესაც დიდი ერებიც კი სამშობლოს ჰკარგავდენ და მიისწრაფოდენ მსოფლიო სამოთხისაკენ, სადაც არ იქმნებოდა არც კლასსთა ბრძოლა, არც მდიდარი, არც ღარიბი, არც ომი ერთა შორის, არამედ მარადის მშვიდობიანობა და სიყვარული კაცთა შორის, საერთო წარმოება და სრული უზრუნველყოფა ყველა მშრომელისა! რა მნიშვნელობა ჰქონდა სამშობლოს, თუ კი მშრომელს ეს სამშობლო სტანჯავს, ზარბაზნის ხორცად იყენებს მჩაგვრელთა ინტერესის დასაცავად, განსაკუთრებით კი საქართველოს სამშობლოს, რომლის წარსულშიაც ომებისა, მტარვალ მეფეთა ისტორიისა და ბატონ-ყმობისა და ყმების გაყიდვის მეტი არა იყო რა! ძირს ეკლესია და სარწმუნოება, რომელნიც უნდა მოსპოს მეცნიერებამ, განათლებამ, როგორც ცრუმორწმუნოება და მისი მქადაგებელი, დამბნელებელი ადამიანის გონებისა და მძარცველი ხალხისა! და რა ბრძოლა უნდა გასწიოს და რისთვის პატარა საქართველომ რუსეთის წინააღმდეგ, როდესაც მთელი რუსეთის ხალხთან ერთად ბრძოლაში ის მოიპოვებს მოქალაქის თავისუფლებას და ნივთიერ კეთილ-დღეობას, ხოლო მსოფლიოს მშრომელებთან ერთად სოციალისტურ სამოთხეს! ხოლო საქართველოს დამოუკიდებლობის დაბრუნება ხომ მეფობის, ე. ი. მონობის დაბრუნება იქმნებოდა! გარეშე მტერთა კვლავ შემოსევას, ბატონ-ყმობის აღდგენას, რეაქციას, უკან-სვლას! გარდა ამისა, ნაციონალისტთა ქადაგი წარსულის აღდგენისა ხომ ნამდვილ პროვოკაციად და ხალხის მტრობად უნდა დასახულიყო, რათგანაც დიდი რუსეთი მთლად გაულეტდა პატარა საქართველოს, და სხვა!

აი რა მოძღვრებით მოევლინა მარქსიზმი საქართველოს, აი რით აიხსნება ზოგიერთა სიტყვები: „წარსული მძაგს და აწმყო მეჯავრება“-ო, დაცინვა წარსულისა, პატრიოტიზმისა, ისტორიისა, ეკლესიისა, სარწმუნოებისა, ომი თავადაზნაურობისა და „გაბატონებულთა“ წინააღმდეგ წარმოებული, ტერორი! მთელი მხედრობა ამ მოძღვრების აღმსარებელთა შეიქმნა საქართველოში, უამრავი ხალხი, განსაკუთრებით საშუალო განათლების მქონე, გაჩნდა კადრები ფანატიურ პროპაგანდისტთა, რომელთაც რამოდენიმე ათეული წლის ქადაგებით ქართველი ერის უდიდესი ნაწილი გადიბირეს, შექმნეს ორგანიზაციები და უძლიერეს პარტია სოციალდემოკრატიული, რომლის "ინტერნაციონალური" ფანატიზმი იქამდე მივიდა,

ქვესკნელი ზესკნელს ეხეთქება, ქაოსია, ბნელა....

მრისხანებს ყოველივე: არსად თავშესაფარი, არსად მყუდროება;

იძირება გემები, იღუპებიან ადამიანები, იღუპება ყოველივე მაღალი, ფაქიზი, მომხიბლავი...

სიტლანქე, ბარბაროსობა, გაიძვერობა ეუფლება ქვეყანას.

ირგვლივ უდაბნოა, უდაბნო გულშემზარავი...

იტანჯვის სული, ისერება გული...

ვიხრჩობით, ვიხრჩობით...."

საკვირველია! ეს ადამიანი უჯამაგიროდ მეხივით იყო! ახლა ჯამაგირს ღებულობს და არსად „თავშესაფარი" არ მაქვს და ვიხრჩობიო! შე მამაცხონებულო, მოდი და ერთი უჯამაგირო ბ .ი. გობეჩიასაც შეეკითხე — მიწის უკუღმა ბრუნვაზე, გემების ჩაძირვაზე, ქაოსზე, გაიძვერობაზე., თავშესაფარზე, ქვესკნელის ზესკნელთან შეხეთქებაზე!!!

×

გაზეთი „ბრძოლის ხმის" მაისის ნომერში ბ. ნ. ჟ. დიდ ბრძნულ აზრებს გამოსთქვამს: — „პირველმა მაისმა მოგვცა 26 მაისი, 26 მაისმა დააკანონა პირველი მაისი"-ო — ჩასძახის თავის მკითხველებს და ამგვარად ისტორიას ჩვეულებისამებრ ყირამალა აყენებს. რა შუაშია 1 მაისი, რომელიც მუდამ და ყოველთვის 26 მაისის წინააღმდეგი იყო? დღევანდელ ამბავზე გვატყუებს და წარსულს რაღას უზამს? მაგრამ ხომ ვიცით: — „კუდი ძაღლისა არა განემართების, არცა კირჩხიბი მართლად ვალს!"

ისტორიულ მოვლენათა გადამახინჯების გარდა, რომელი ჩვეულებაც ბ. ნ. ჟ.-ს ძვალრბილში აქვს გამჯდარი, იგივე ბატონი იგონებს და აცხობს ახალ-ახალ უცნაურ ცნებებსაც ,რომ თავისი უვიცი მკითხველი გააკვირვოს და გააბრუოს. იგი სწერს: 26 მაისს „განსახიერდა ერთი ურყევი ჭეშმარიტება: ხალხის ემანსიპაცია შეუძლებელია გარეშე ერის ემანსიპაციისა. ნაციონალური დამოუკიდებლობა მიუცილებელი პირობაა ხალხური დამოუკიდებლობისა"-ო. ამ ჭეშმარიტებას აღბად ბ-ნი ილ. ნუცუბიძე გაიგებს, და ისიც დახრჩობის წინ.

×

იმავე ნომერში მძიმედ გამოსულა ბ. ერაძე. —დიდი სპეციალისტი ტალახიანი პურისა, — და ჰპირდება რა ქართველ ერს კვლავ გაბედნიერებას, გაიძახის: — „ჩვენი ერის თავისუფლება, ჩვენი ხალხის კეთილდღეობის აშენება არ არსებობს გარეშე სოციალდემოკრატიული პარტიისა"-ო. და ისე გულმავიწყა და სულელი ჰგონია ქართველი ხალხი (და არა თავისი თავი!), რომ ფიქრობს: — მას დაავიწყდა გუშინდელი და დღევანდელი ამბავი. არც ისე გულმავიწყია ქართველი ხალხი, რომ არ ახსოვდეს ბ. ერაძე, თუ რა კეთილდღეობა მიანიჭეთ მას!

×

ვიღაც ენა-გადმოგდებულ დარბოდა, ვიღაც ვიღაცას კაფეში ხვდებოდა, კაფე-ო-ლე-ს კრუასანით მიირთმევდა, აქაფებული დავობდა და ამის შედეგად ვიღაცამ ვიღაცასთან ერთად შეჰქმნა რაღაც „სომხურ-ქართული იუნიონი". ამ ვიღაცეებმა მოუწოდეს სომეხ და ქართველთ: ძმობისაკენ, კავშირისაკენ. კარგი რამ არის! და რასაკვირველია, ამის გულისათვის ღირდა ზოგი ტყუილის თქმა, ზოგი გადაჭარბება, ზოგი ოცნება და აღთქმა. ვინ არიან ეს ვიღაცანი, ღმერთმა უწყის, მაგრამ რაღაცას ვიღაცასათვის რომ ეძებენ, ეს დღესავით ნათელია!

ს. და ვ. დონაური

† კ. მაჭავარიანი

1936 წლის 26 მარტს ქ. თეირანში გარდაიცვალა ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ ყოფილი ოფიცერი კონ. გიორგის-ძე მაჭავარიანი. — განსვენებული გადმოიხვეწა საქართველოდან 1926 წ. დ განუწყვეტლივ მუშაობდა არა ჯანმრთელ რაიონში, სადაც მას შეეყარა განუკურნებელი სენი —ჭლექი. მაგრამ იგი იმედს მაინც არ ჰკარგავდა, რომ მალე იხილავდა თავისუფალ სამშობლოს, სასოებით ლაპარაკობდა ამ ბედნიერ მომავალზე და ბრძოლის წყურვილით აღსავსე მტერთან შებმის წუთებს ეოცნებებოდა.

არ დასცალდა ჯერ კიდევ ახალგაზრდა, 42 წლის იმედით სავსე ქართველს. მისმა ორგანიზმმა ვერ გაუძლო მძიმე ემგრანტულ პირობებში მუშაობას და მიილია 71 წ. მოხუცი მამის ხელში. კეთილი გულის ადამიანი, ჭეშმარიტი ქართველი,, თავაზიანი და მდაბალი, ის უაღრესად პატივსაცემი და საყვარელი პიროვნება იყო სპარსეთში (ირანში) მყოფ ქართველთათვის. განსვენებული, ისევე, როგორც მისი მოხუცი მამა, თეთრი გიორგის მიმდევარი იყო. — დასაფლავებას დაესწრო მთელი თეირანის ქართველობა და მრავალი კავკასიელი და უცხო მეგობარი..

ედ.

თეთრი გიორგი თავის უღრმეს თანაგრძნობას უცხადებს ჭირისუფალთ: მამას ბ. გიორგის და ბიძას ბ. ალექსანდრე ლუარსაბის-ძე მაჭავარიანთ მათი და ყველა სპარსეთში მყოფ ქართველთათვის საყვარელ ქართველის კოწიას დაკარგვის გამო.

საქართველოს ყოფა-ცხოვრება

(გაზეთ „კომუნისტი"-დან)

— სახემლწიფო გეგმა აბრეშუმის პარკის დამზადებისა გადაჭარბებით შესრულდა. ხონის, ქუთაისის, სამტრედიის, მახარაძისა და მთელ რიგ სხვა რაიონში თითო კოლოფ თესლზე 85—90 კილოგრამი პარკი მიიღეს.

— ჩაის ფოთოლის კრეფის გეგმის მიხედვით მაისში უნდა მოკრეფილიყო 3.646.900 კილ. შესრულებულ იქმნა ეს გეგმა მხოლოდ 34.8 პროცენტით. გასულ წელს კი 14 %-ით. ჩაის მოყვანაში განსაკუთრებულ სიმამაცეს იჩენენ მარტვილის, ცხაკაიას, ხობის და წულუკიძის რაიონი.

— საგარეჯოს რაიონის მეველემ ვასილ რევაზოვმა სოფ. კოლმეურნეობის ფერმის გამგეს ამხ. ნაყეურს ერთი ცხვარი მოსტაცა. რევაზოვის თავგასულობა იქამდე მივიდა, რომ მან აიძულა სოფ. ჩარგლის მცხ. პაპი ხირჩლაშვილი და სოფ. ახალციხის მწყემსები ხუთი ცხვარი გაეპარსათ მის სასარგებლოდ. სოფ. მალხაზოვკაში პირველ მაისს, დიდი წვიმების დროს სილნაღის რაი-აღმასკომმა კომბინატის ცხვარმა დააზიანა 26-კომუნარის სახ. კოლმეურნეობის ჯეჯილი. აქტი გაფორმეს, დაზარალებულებს ანაზღაურება აღუთქვეს, მიუხედავად ამისა, ამ კოლმეურნეობის თავჯდომარემ მათ 7 ცხვარი ჩამოართვა. იმავე კოლმეურნეობის მოანგარიშემ „ახალ ცხოვრებას" (დუშ. მაზ.) 5 ცხვარი წაართვა. „ჩვენს საძოვრებში ცხვარი რატომ გაატარეთო"! მთაში გამგზავრება მეტად მოუმზადებელია, მწყემსებს ფარაჯები, ქალამნები და ნაბდები არ მიუღიათ. ცხვარიც დაავადებულია ყუთურით და მათი მოვლა მედიკამენტების უქონლობის გამო არ სწარმოებს. სილნაღის რაიონში 3 დარიშხანოვანი აბაზანა უნდა მოეწყოთ ტკიპის წინააღმდეგ. იორის და ოლთუნის ორი აბაზანა უვარგისი გამოდგა, ხოლო მესამე (ლოჭინის ხეობაში)5 მაისს იყო მზად, მაგრამ აქ ერთი ცხვარიც არ გატარებულა. „არ მოიყვანეს და რა ჩემი ბრალიაო"! აცხადებს ვეტ-ექიმი ი. ცომაია.

— კოლხიდმშენს წელს დავალებული აქვს 400.000 ძირი ევკალიპტის გამოყვანა. ამ საქმის პასუხისმგებლობა დაეკისრათ კომუნისტებს ცხადაიას და მოისწრაფაშვილს. მათ შესძლეს ამ რთული საქმის წარმატებით შესრულება: გამოიყვანეს 500.000 ძირი ნერგი. გეგმით გათვალისწინებული იყო 20 სათბურის აშენება, ფაქტიურად ეს სამუშაო 7 მაისს დამთავრდა.

— მომეცით საკმარისი ქვა!'33 ცამეტი წელიწადია ქვის მთლელი ვარ. ვინ იცის ამ ხნის განმავლობაში რამდენი ათასი კუბიკური მეტრი ქვა გამითლია, მაგრამ ისეთი მონდომებით, როგორც ახლა ვმუშაობ, არასოდეს მიმუშავნია. ბლომად მომეცით ქვა და ჩემს მუშაობას გავაორკეცებ. აი ჩემი ერთად-ერთი მოთხოვნა. სტახანოველი თეოფილე ფარქოსაძე.

— ტფილისში „საღდათის ბაზარი" ისტორიას ჩაბარდა. მის ადგილას აღმოცენდება ახალი, დახურული ბაზარი, ორ-სართულიანი შენობა. გადადებულია ერთი მილიონი მანეთი მის ასაგებად.

— 11 მაისს საქართველოს ცაკის პრეზიდიუმმა განიხილა სოფ. ზერტის (მეჯვრის-ხევის სასოფლო საბჭო) ჩივილი, რომლითაც ბრალი ედებოდათ კოლმეურნეობის ხელმძღვანელებს ბოროტმოქმედება და ფულის - გაფლანგვაში. გამოძიებამ დაადასტურა საჩივარი და დამნაშავენი პასუხის გებაში მისცეს.

სამუშაო ადგილის კეთილმოწყობისათვის და საწარმოო კულტურისათვის სუსტად იბრძვიან მეტალურგიული კონსტრუქციის ქარხნის ხელმძღვანელები. საამქროები უვარგის შენობებშია მოქცეული, სადაც სისუფთავეზე ლაპარაკი ზედმეტია; ეზო რკინის ნატეხებით არის მოფენილი. ყველგან ჭუჭყია, სასადილო ფარღალა შენობაშია მოთავსებული...

— ზუგდიდის რაიონში ჩაის კრეფას აგვიანებენ და ამის გამო გაუხეშებულია ჩაის ნაზი ფოთლები, ბუჩქებს არა სწმენდენ ყრუ-ნაზი დუყებისაგან, თითქმის ყველგან დაბალია წრომის დისციპლინა.

— ხევსურეთის მუშა-მოსამსახურენი დროზე ვერ ღებულობენ ხელფასს.

— ჭყოპიანის (კასპის რაიონი) მცხოვრებნი სიხარულმა მოიცვა. გამოუგზავნეს ტექნიკოსი. გზა დაგეგმეს. გასაკეთებელია 500 მეტრი, აქედან 150 მეტრი აფეთქებას მოითხოვს. ტექნიკოსი მოსახლეობას შეპირდა ყოველ ოთხშაბათს გამოვივლიო. გავიდა ოთხშაბათები, თვეები. კოლმეურნენი მიადგენ კლდეს, რომლის აფეთქება საჭიროა. მიაკითხეს საგზაო სექციას. საიდანაც პასუხად მიიღეს: — თქვენ იმუშავეთ, ოთხშაბათს მოვალთო. კიდევ გავიდა ოთხშაბათი; კვლავ მიაკითხეს საგზაო სექციას; უპასუხეს: — ჩვენ არა გვაქვს ასაფეთქებელი მასალა და არც ტექნიკური ძალები. თქვენი გზის გაკეთებას ვერ შეეძლებთო!

— ლანჩხუთის რაიონში მოუწესრიგებელია აბრეშუმის ჭიის კვება. არის შემთხვევები, რომ [illegible] ასაკის ჭია დღეობით მშიერი რჩება. ქალებს აგზავნიან ჩაის კრეფაზე და აბრეშუმის ჭია [illegible]

— მომეცით კარგი ხარისხის ძაფი! ამ ჩემს მოთხოვნას თუ დააკმაყოფილებთ, შემიძლია გაცილებით უფრო ნაყოფიერად ვიმუშაო. — სწერს ერთი სტახანოველი მაუდის ქარხანისა.

— წალენჯიხის მტს-მა ზუგდიდიდან ჩამოიტანა მინერალური სასუქი და რაიონის ცენტრში, გარედ გაჰყარა. სასუქს აწვიმს, იგი ირეცხება და ფუჭდება.

— მიწის სამუშაო რაიონის ახალ კალაპოტში გადასაყვანი არხის მშენებლობაზე ძირითადათ დამთავრდა. არხი ხუთი კილომეტრის სიგრძეზეა გათხრილი. ამოღებულია 2. 840.000 კუბიკური მეტრი მიწა.

— ბათომის ბუნებრივი საღებავების ქარხანა შეუდგა კოფეინის დამზადებას. ნედლეულად კოფეინის წარმოებისათვის იყენებენ ჩაის პლანტაციებში ჭარბად არსებულ ნარჩენებს და აგრეთვე ჩაის მტვერს. მიმდინარე წლის თებერვალიდან 15 მაისამდე ქარხანამ მიიღო 500 კილოგრამზე მეტი კოფეინი.

— მუცლის მოშლა (აბორტი), რომელიც ერთ დროს კანონით ნება-დართული იყო, ახლახან აკრძალეს. დღიურ წესრიგშია ამ ჟამად ფარული აბორტის წინააღმდეგ ბრძოლა. გაუჩაღებიათ ბრძოლა ფარული აბორტის წინააღმდეგ. — ვინაიდან „არ შეიძლება აბორტის საკითხის ძველებურ მდგომარეობაში დატოვება. რადგან უკლასო საზოგადოების შექმნის პროცესში ადამიანის ჯანმრთელობას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. მოუწოდებო ყველა საბჭოთა ექიმებს — გააჩაღონ ფართო ბრძოლა ფარული აბორტის წინააღმდეგ. და ამით უზრუნველყონ ქალთა მილიონიანი მასსების ჯანმრთელობის დაცვა. მათი შრომის ფართოდ გამოყენება გაშლილ სოციალისტურ მშენებლობაში"-ო.

— კასპის რაიაღმასკომმა ქალაქის მოსაწყობად გაიღო 35. 000 მანეთი. ამ თანხით ქალაქის ცენტრში კეთდება ბაღი, სწარმოებს ქალაქის გამწვანება, სკვერების მოწყობა, ერთ კილომეტრზე აგებენ ქვაფენილს. უახლოეს დროში დამთავრდება სოფ. ქვემოჭალიდან ქალაქში წყალსადენის ქსელის გამოყვანა.

— როგორც ვიცით, საფრანგეთდან სომხეთში გაემგზავრა სომეხ ემიგრანტთა ერთი ნაწილი 1.600 სული. მათ მისაღებად ბათომში 13 მაისს ჩავიდა კომისია სომხეთის ც.-ის თავჯდომარის მოადგილე ახ. დაშტოიანის მეთაურობით. ჩამოსულნი წაიყვანეს სომხეთში, სადაც ისინი მოათავსეს ერევანის მახლობლად. მათთვის აგებულია სახლები 600 ოთახით. ყველა უზრუნველყოფილი იქნება მუშაობითო.

— ლენინ-გორის (სამხრეთი ოსეთი) რაიონულ კლუბში განათლების განყოფილების გამგის განკარგულებით, კერძო პირები შეასახლეს.

— ანგარიშს არ გვისწორებენ! გასული წლის დეკემბერში შტატის შემცირების გამო სამუშაოდან მოგვხსნეს. მაშინ ხელფასი არ მოუციათ. გვერგებოდა 2.865 მან. და 1934 წ. ობლიგაციები. მოვითხოვთ ჩვენს ხელფასსა და ობლიგაციებს, აგრეთვე დამნაშავეთა დასჯას. ხორაგოულის ელსადგურის მუშები.

— სკოლაზე არა ზრუნავენ. ყაზბეგის რაიონის სრულ საშუალო სკოლაში უსუფთაობაა. სკოლის ადმინისტრაციას ისეთი ელემენტარული ნივთებიც ვერ შეუძენია, როგორიც არის ცოცხი, ტილო, ფეხსაწმენდი და სხ. სკოლა არ ცსასმელი წყლით არის უზრუნველყოფილი. ერთ წე-

---

რომ მან ვერც კი გაბედა ქართული სოციალდემოკრატიული სახელწოდება მიეღო. არამედ გახდა ნაწილად რუსეთის სოციალდემოკრატიისა. ეს უკვე ქართული გადაჭარბება იყო, რათგანაც სხვა ქვეყნებში სოც.-დემ. პარტიები ეროვნულნი მაინც იყვნენ. და ისეთ სირეგვნეში გადავარდენ ბოლოს ჩვენი სოციალდემოკრატები, რომ სიტყვა ქართულსაც კი სდევნიდენ და მათი ინტერნაციონალიზმი ბოლოს და ბოლოს რუსოფილობაში გამოიხატა, რაიცა ძალიან ხელსაყრელი იყო რუსის მთავრობისათვის.

მარქსიზმმა დააბრკოლა ქართული ნაციონალიზმის ზრდის დამთავრება და დაამარცხა იგი იმ საბედისწერო დროს. ჩვენმა სოციალდემოკრატიამ მცირის შიშითაც წინაშე დიდი მტერისა ისარგებლა, რომ ქართველ ხალხს ფიქრადაც არ მოსვლოდა რუსეთის წინააღმდეგობა. ამით მან მძლავრი ლახვარი ჩასცა ქართულ იდეას და ეროვნულ იდეისაგან განძარცულ ერს მოუსპო საშუალება ბრძოლისა და თავის დაცვისა იმ დროისათვის, როდესაც ბრძოლა და თავდაცვა მისთვის საჭირო იქმნებოდა...

ნაციონალიზმი მაინც ებრძოდა მარქსიზმს საქართველოში .ილია ჭავჭავაძე ამ ბრძოლაში დაეცა ტყვიით განგმირული. „ფედერალისტთა" პარტიამ შესძლო ორგანიზაციათა მოწყობა, ეროვნული დროშის აღმართვა, მაგრამ ორგანიზაციებიც სუსტი იყო მისი და მისი ნაციონალიზმიც ავტონომიას ვერ გასცილებოდა. გარდა ამისა ეს პარტიაც სოციალისტობდა და ინტერნაციონალისტობდა, მომხრე იყო რუსეთთან ფედერაციისა. ლოიალური რუსეთისა. თუმცა მარქსიზმი მასაც ცილსა სწამებდა, მხი ფედერაციაც და ავტონომიაც რუსეთის ღალატად მიაჩნდა და ამით მას რუსეთის წინაშე აბეზღებდა, ხოლო მისი სოციალიზმი ფეოდალიზმად და ბატონყმობის დაბრუნებად, და ამით მას ინტერნაციონალისა და თვით ხალხის წინაშე აბეზღებდა. ასე წალეკა მარქსიზმმა საქართველო და 1905 წელს და შემდეგ მისი ბატონობა სავსებით განმტკიცდა საქართველოში. მხოლოდ 1905 წლის შემდეგ ჩნდება მცირე ჯგუფი ნამდვილ ნაციონალისტთა, აღმსარებელი საქართველოს სრული დამოუკიდებლობისა. მცირე, უსახსრო, უორგანიზაციო, დევნილი რუსის ჟანდარმერიისაგან და სოციალდემოკრატთაგან. ცუდი ოცნების ხალხად გამოცხადებულნი დამარცხებულ ჭველ ნაციონალისტთაგან. ამ ჯგუფის წევრები ნაციონალიზმის თეორიის შექმნით არიან იძულებულნი დაკმაყოფილდენ. და ეს სწორი აზრი იყო, რათგანაც არც ერთ დიდ მოძღვრებას არსად უთეორიოდ, უიდეოლოგიოდ ნიადაგი არ მოუპოვებია — ასეთია ადამიანის ბუნება — და მარქსიზმის გამარჯვებაც ხომ დიდად მიეწერება მარქსის „კაპიტალს". მათი მაშინდელი ცდა შემდეგ ისტორიამ გაამართლა, მაგრამ დიდი ომის წინად ეს ჯგუფი იძულებული იყო უცხოეთში გამოხიზნულიყო.

უკანასკნელი პასუხი ქართულმა ნაციონალიზმმა მარქსიზმს ეროვნულ - დემოკრატიული პარტიის დაარსებით გასცა 1912 წელს. მან შემოჰკრიბა ეგრედ - წოდებული „ბურჟუაზია" ქართული, თავადაზნაურობა, ნაციონალისტური ინტელიგენცია, გავიდა ხალხშიაც. მოიმხრო ნაწილი გლეხობისა. შეჰქმნა პარტიული ორგანიზაციები, პრესსა, და ამით ცოტა ალაგმა გალაღებული მარქსიზმი. ამ პარტიის იდეალიც რასაკვირველია, საქართველოს დამოუკიდებლობა იყო. იგი პირდაპირ განგრძობა იყო ძველი, მარქსიზმისაგან დამარცხებული ნაციონალიზმისა, და პოლიტიკურ ძალად გარდაქმნა მისი. მაგრამ საუბედუროდ სუსტი იყო და პრიმიტიული მისი იდეოლოგია, მისი თეორია. დემოკრატიზმი მისი მიბაძვა იყო სხვა პარტიათა დემოკრატიზმისა, ხოლო თვით პარტია ისეთივე „კლასსიური" პარტია შეიქმნა, როგორც სოციალდემოკრატია, მხოლოდ „მემარჯვენე". მეტოქე მემარცხენე სოციალდემოკრატიისა. ამით უკვე ის სრული „ეროვნული" ვერ იქმნებოდა და მართლაც არც ყოფილა აროდეს, არც დღეს არის და არც შეიძლება იყოს. ამიტომაც ისე მივაღწიეთ დიდ ომს, რომ სოციალდემოკრატიის ბატონობა ვერც ამ აღორძინებულმა ძველმა ნაციონალიზმმა მოსპო და ქვეყნის განმგებელ-პატრონად მარქსისტთა პარტია დარჩა იმ დროს, როდესაც საქართველოს ისტორიის უკანასკნელი ფურცელი იწერებოდა.

მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში მსოფლიო ომამდე არღვიეს ერის მთლიანობა. ერის უარმყოფელმა მოძღვრებებმა, განსაკუთრებით მარქსიზმმა. მაგრამ დიდმა ომმა ცხ. დ-ჰყო არა თუ ტყუილი ამ მოძღვრებათა არამედ უაღრესი მავნებლობა მათი. ყოველი ერის პროლეტარი და მშრომელი ისეთივე თავგანწირული სიმამაცით და ბუნებრივი ეროვნული თავ-მოყვარეობით იბრძოდა თვისი ერისათვის, როგორც სხვა კლასსთა და წოდებათა წევრები. გამოჩნდა, რომ „საშობლოც" არსებულა და ტყუილი სიტყვა არ ყოფილა, და „პროლეტარსაც" ჰქონია და სწამებია იგი! ტყუილი იქ იყო, იმ სატანურ მიზანთა მქონე მოძღვრებაში, რომელიც მშრომელს სამშობლოს მოღალატეობას ასწავლიდა, აცლიდა რა თავიდან ერის იდეას და გულითგან სამშობლოს სიყვარულს.

ომის დასაწყისშივე დადგა საკითხი პოლიტიკურად დაჩაგრულ ერთა, ამ უკანასკნელთაგან ყოველი მიემხრო იმ მეომარ მხარეს, რომელიც მის მჩაგვრელს ეომებოდა. ამგვარად უსახელმწიფო ერებიც იღებდენ ფაქტიურად მონაწილეობას ომში, უკავშირდებოდენ რა თავიანთ მტერთა მტრებს. ინგლის-საფრანგეთ-რუსეთთან და ამათ მოკავშირეებთან ერთად იბრძოდენ ავსტრიისაგან განთავისუფლების მოსწრაფე ერები. ხოლო გერმანიასთან და მის მოკავშირეებთან ერთად — ინგლისისა, რუსეთისა, და სხვათა მიერ ჩაგრულნი. ბერლინში, ვენაში და სტამბულში განმათავისუფლებელი კომიტეტები მუშაობდენ — ფინლანდელთა, პოლონელთა, უკრაინელთა, ქართველთა, აგრეთვე ინდოელთა და სხვათა. მტრის წინააღმდეგ ძათი ლეგიონები ფრონტზედ იბრძოდენ. ქართული კომიტეტი ზემოხსენებულ უცხოეთში გადმოხიზნულ სეპარატისთაგან შესდგებოდა, რომლებსაც ომამდე გაზეთი „თავისუფალი საქართველო" ჰქონდა ჟენევაში, ხოლო ახლა მათაც საქართველოს განსათავისუფლებლად ომში მიიღეს პირდაპირი მონაწილეობა. პოლიტიკურად მუშაობდა ქართული კომიტეტი, ოსმალეთ-რუსეთის ფრონტზედ იბრძოდა ქართული ლეგიონი. მაგრამ სხვა კომიტეტებზედ ნაკლები ბედი ჩვენსას ჰქონდა. მაშინ როდესაც სხვათ სამშობლოთგან ჰქონდათ დასტური და შველა, ჩვენი მარქსისტებისაგან დამონებული და რუსეთის შიშისაგან შეპყრობილი ქვეყნითგან ძლიერი მორალური დახმარებაც ვერ მივიღეთ! ამ მხრით საქართველო ცუდ გამონაკლისს შეადგენდა სხვა მებრძოლ ქვეყანათა შორის.

ამ უზარმაზარი მოვლენის წინაშე მარქსიზმი შეშინდა და მიიმალა. დასაწყისში მისი აღმსარებელნი პატრიოტიზმსაც კი იჩენდენ. მაგ რმ შეატყეს თუ არა ერებს ომით დაღლილობა, კვლავ იწყეს შინაგანი ნგრევა მათი: გამამრთვიეს მუშებს საბოტაჟი იარაღისა და ამუნიციის საწარმოო ქარხნებში, აქეზებდენ ფრონტზედ აჯანყებისათვის, აწერიებდენ სასოწარკვეთილ წერილებს სახლითგან ფრონტზედ მებრძოლთათვის, და ამას თითქო კეთილის მიზნით — ომის მოსასპობად, მშვიდობიანობისა და კაცთა შორის ძმობისა, ერთობისა და სიყვარულისა, ერთა შერიგებისათვის! დამარცხებული რუსის ჯარი ჯერ დემოკრატ რევოლუციონერებს ჩაუვარათ ხელში, და ამათ მოსპეს რა თვითმპყრობელობა, მათი სანატრელი დემოკრატიული რეჟიმი განახორციელეს. მაგრამ მარქსიზმმა სატანა ლენინის მეთაურობით ეს "დემოკრატია" ადვილად მოსპო, და ბოლშევიზმმა დაიდგა ტახტი რუსეთში, მარქსიზმის უწმიდესად აღმსარებელმა, რომელმაც 1917 წლითგან გაანადგურა რუსეთი ნივთიერად, სულიერად და ფიზიკურად, განახორციელა რა ძალით, ტერორით, სისხლის დაღვრით სწორედ ის აზრები და ფორმულები, რომელიც მოცემული იყო მარქსისა და ენგელსის ძველ „კომუნისტურ მანიფესტში" და თვით ლენინის რევოლუციონურ ნაწერებში! ბოლშევიკურმა რუსეთმა შექმნა ახალი წითელი არმია და უზარმაზარი საპროპაგანდო აპარატი, რომლითაც საქვეყნო სოციალური რევოლუცია უნდა მოეწყო. მაშასადამე აშკარა ომი გამოუცხადა ერებს ინტერნაციონალური სოციალიზმის სახელით. თუმცა პირმოთნედ გაიძახოდა, რუსეთის ერებსაც კი „თვითგამორკვევის" უფლება ენიჭებაო. გაბოლშევიკებული რუსეთი იყო უდიდესი დამხმარე ევროპის მარქსიზმისა 1918 წ. ფრონტზე მებრძოლთა გახრწნის საქმეში. იგივე წითელი რუსეთი დაეტაკა ომის შემდეგ განთავისუფლებულ ერებს. ხოლო იმ ერთ, ვისაც ჰქონდა საკმარისი ეროვნული შეგნება და მოასწრო თავდაცვის საქმის მოწყობა — ფინლიანდიას, პოლონეთს, ბალტიის სახელმწიფოებს ვერა დააკლო რა რუსეთმა, ხოლო სადაც ეროვნული იდეა სუსტობდა, ან სადაც ერის ბედი მარქსისტების ხელში ჩავარდა — უკრაინაში, საქართველოში და სხვაგან — იქ რუსეთმა კვლავ ადვილად მოსპო ახალი სახელმწიფოები. საქართველოს დამოუკიდებლობა იძულებით ვამოაცხადა მისმა უძლიერესმა პარტიამ — მენშევიკურმა სოციალდემოკრატიამ, რომელიც მხოლოდ განაყოფი ძმა იყო ბოლშევიკური კომუნისტური პარტიისა. დამოუკიდებლობა გამოცხადდა რუსეთის „გაქცევის" შემდეგ კავკასიითგან და მის გამო, და აგრეთვე შემოსასევად მომდგარი ოსმალეთის მხედართ-მთავარის ულტიმატუმით — გამოაცხადოს საქართველომ დამოუკიდებლობა, თორემ ლაპარაკსაც არ დავიწყებ მორიგებაზედო, ვის უნდა ველაპარაკოო (მართალიც იყო!). გერმანიამ გადასწყვიტა თვისი დახმარებით ეს აქტი დამოუკიდებლობის გამოცხადებისა, მაგრამ მის "გამომცხადებელთ", სოციალდემოკრატებს არ ეყოთ არც ნიჭი, არც ჭკუა, არც იდეა, რომ სახელმწიფო გაემაგრებინათ. შეექმნათ მხედრობა თავ - დაცვისათვის. და დამარცხებულ გერმანელთა წასვლისა და ინგლისის მიერ ბათუმის დატოვების შემდეგ რუსეთმა, მიუხედავად საქართველოს „ცნობისა" და მასთან მეგობრულ ხელშეკრულების დადებისა, ორი კვირის ბრძოლით აიღო საქართველო. ამოსწყვიტა, გაანადგურა იგი, და 15 წელიწადია, რაც ჯვარზედ ჰყავს მთელი ქართველი ერი გაკრული! დიახ, ორი კვირეც ვერ გავუძაგრდით 20.000 ჭილოფ-წამოსხმულ რუს-ბოლშევიკთა ურდოს! მსგავსი სირცხვილი საქართველოს არ უჭამია მთელ ისტორიაში, და ეს სირცხვილი ქართულმა მარქსიზმმა გვაჭამა, რომელმაც ორმოცი წლის განმავლობაში იქადაგა საშობლოს უარყოფა, ჰკლა ერის იდეა და წაართვა ქართველ ხალხს მებრძოლის სული! ბრძოლის ველზედ მხოლოდ და კიდევ „ის დახვდა გულდაგულ რაზმსა მტრისასა, ვინც დახვედრია", — სოციალდემოკრატთა მიერ მუდამ ნაწამები და აკლებული და შეურაცყოფილი, რათგანაც მასში მამაპაპათა სისხლმა და ტრადიციამ გააღვიძა გრძნობა სამშობლოსათვის სიკვდილის ვალისა, ხოლო ქართველი მხედარი, ხალხითგან გამოსული, რომელმაც წინად იცოდა თუ რისთვის იბრძოდა და კვდებოდა, და ახლაც უნდა სცოდნოდა, არ იყო, და ვერც შეიქმნებოდა სამი წლის განმავლობაში, რათგანაც ხალხს ორმოცი წლის განმავლობაში ჰკოდავდენ სულიერად, ეროვნულად!

(გაგრძელება იქნება)

მ. წერეთელი

ლზე მეტია რაც ლაპარაკობენ სკოლის ეზოს ჭიშკარის გაკეთებაზე, მაგრამ ლაპარაკს ბოლო არ უჩანს.

— ამ დღეებში დაიწყო ბათომის მანქანათ-მშენებელი ქარხანის მეორე რიგის მშენებლობა. მშენებლობისათვის გადადებულია 7.300.000 მან. აიგება საკოპრესორო შენობა, საქარხნო წყალსადენი საქაჩი სადგურით, გაფართოვდება მექანიკურ-ამკრეფი საამქრო, მოეწყობა სახანძრო და სათბობი მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, ხის დამმუშავებელი სხვა და სხვა სახელოსნოთი და სასაწყობო შენობებით.

საქართველოს კულტურული ცხოვრება

შოთა რუსთაველის იუბილეისათვის მოსამზადებლად ლაგოდეხის რაიონის ოთხ კოლმეურნეობასთან უკვე მესამე თვეა მუშაობენ რუსთველის კომიტეტები; კომიტეტთა მიზანია 1937 წლისათვის კოლმეურნეობებში არ დარჩეს არც ერთი, რომელსაც წაკითხული ან მოსმენილი არ ექნება „ვეფხის ტყაოსანი". ამასთან არ უნდა დარჩეს არც ერთი ოჯახი, რომელსაც ვეფ. ტყ. მასობრივი გამოცემის ცალი არ ექნება შეძენილი. კოლმეურნეობებში უკვე შეუდგენ რუსთაველის აფორიზმების ზეპირად შესწავლას; მართავენ ლექციათ-საუბრებს, ვეფ. ტყ. გმირთა გასამართლებას და საღამოებს. ლაგოდეხის პედაგოგიური ტექნიკუმის 10 ფრიადოსანმა მოსწავლემ დაიწყო ჯერ კიდევ თებერვალში ვეფ. ტყ. ზეპირად შესწავლა. ტექნიკუმთან მოწყობილია რუსთაველის კაბინეტი, სადაც შეგროვილი იქნება მასალები რუსთაველის შესახებ.

— ტფილისის უნივერსიტეტმა დაამზადა გამოსაცემად ვახტანგ მეფის დროს პირველად დაბეჭდილი „ვეფ. ტყ"-ის სრული განმეორება, დაცული იქნება შრიფტი და ყოველი გარეგნულობა.

— მეცნიერმა მუშაკმა ს. ი. ყუბანეიშვილმა, რომელიც დიდი ხანია მუშაობს ვაჟა-ფშაველას მასალებზე, შეადგინა ვაჟას შესახები ბიბლიოგრაფია: „სად, როდის და რა დაიწერა ვაჟა-ფშაველას შესახებ". დღემდე შეგროვილია 580 წიგნის ,საგაზეთო და საჟურნალო სტატიების, მოგონებების და სხვა სათაურები 1885 წლიდან 1936-მდე.

— ქვალონის მიდამო მდიდარია ძველი ნამოსახლარი ადგილებით, რომლებსაც ყორღანისებური ფორმა აქვთ. კოლხეთის წინაისტორიის შესასწავლად ამ ყორღნებს უდიდესი მნიშვნელობა აქვთ. 1933 წლიდან კოლიხდმშენის მუშაობასთან დაკავშირებით, დაიწყო ამ ყორღნების არქეოლოგიური გამოკვლევები. პირველად გაითხარა სოფ. ანეკაში დაცული ყორღანი, რომელშიაც ოთხი მეტრის სიღრმეზე აღმოჩნდა ხის ნაგებობა (ბოძებიანი შენობა) და მდიდარი კულტურული ნაშთები: თიხის ჭურჭელი, იარაღები, ცხოველთა ძვლები და სხ. ეს ძეგლი ეკუთვნის ნეოლითურ ხანას (1500—1800 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე) და პირველ აღმოჩენად უნდა ჩაითვალოს ჩვენში. საქართველოს არქეოლოგიურმა ინსტიტუტმა ამ ყორღნის გათხრის დასასრულებლად მიავლინა არქეოლოგიური კომისია არქ. სერ. მაკალათიას ხელმძღვანელობით, 18 მაისს.

— საქართველოს უმაღლესი სასწავლებლები წელს გამოუშვებენ ორი ათასამდე ახალგაზრდა სპეციალისტს. მარტო ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი წელს გამოუშვებს 761 სპეციალისტს — მათემატიკოსებს, ეკონომისტებს, ბიოლოგებს, ისტორიკოსებს, ექიმებს და სხ.

— საქ. კურორტთა სამმართველომ წელს გადასდო 1.500 ათასი მან. კურორტ მენჯის მოსაწყობად.

— სახელმწიფო ოპერის თეატრი წლობით განიცდიდა ბალეტის მსახიობთა მწვავე ნაკლებობას. 1934 წ. მარტში ქორეოგრაფიის დარგის მასწავლებელთა ჯგუფის თაოსნობით სახელმწიფო ოპერის თეატრთან ჩამოყალიბდა ქორეოგრაფიული სტუდია ჯავრიშვილის ხელმძღვანელობით. წელს, 20 მაისს სტუდიამ პირველად გამართა წარმოდგენა - ბალეტი, რომელიც ბრწყინვალედ შესრულებულ იქმნა ახალგაზრდა მოცეკვავეთა მიერ.

— სიღნაღის თეატრი საგასტროლოდ მიემგზავრება დასავლეთ საქართველოში. დასდგამენ შილერის „ვერაგობა"-ს, შანშიაშვილის "არსენა"-ს კორნეიჩუკის „პლატონ კრეჩეტ"-ს და ი. მჭედლიშვილის „ოიანა ბუიანა"-ს.

— „ჩვენ საამაყო ბელადის მშობელ ქალაქში" გორში გახსნა პედინსტიტუტი. ინსტიტუტის საკუთარი შენობა 1935 წლის ნოემბრისათვის უნდა დამთავრებულიყო. მაგრამ აგერ შუა მაისია და მხოლოდ 8 ოთახის კედელია ამოყვანილი. მშენებლობა უკვე 7 თვეა, რაც შეჩერებულა — აღბულაღის რაიონში 80 სასკოლო ოთახი უნდა აშენდეს. ბიუჯეტიც დამტკიცებულია. სკოლების აგება ჯერ-რაც არ არის დაწყებული. რაიონის ამხანაგებს ალბად ჰგონიათ, რაკი ბიუჯეტში შეიტანეს, სკოლები თავისდათავად აშენდებაო.

— ლაგოდეხის რაიონში არის საავადმყოფო 40 საწოლით, ამბულატორია, კბილის ექიმის კაბინეტი, ტროპიკული სადგური, ორი სამალარიო პუნქტი. ჯანმთელობის ორი პუნქტი და 9 აფთიაქი. გარდა ამისა 10 სოფელში არის სამკურნალო პუნქტები და ერთ მათგანში გაიხსნება კიდევ საფერშლო პუნქტი.

— სოფ. როხში (ბაღდადის რაიონი) კლუბი ააშენეს. მაგრამ ვერ დაასრულეს, სახურავი აკლია. დროთა განმავლობაში შენობა გაფუჭდა და იგი დაარღვიეს. მასალები ერთ ეზოში დააწყვეს, სადაც იგი ახლა ლპება.

— სოფ. კარდანახის სამკითხველო ვერ ამართლებს მის დანიშნულებას: აქ არ არის არც ერთი წრე. არ მოიპოვება სათანადო ლიტერატურა და რაც მთავარია, სამკითხველოში არც ჟურნალ-გაზეთებია. სამკითხველოს გამგე გაზეთებსა და ჟურნალებს მაგიდის გადასაფარებლად და შესახვევ მასალად იყენებს.

— გარდაიცვალა ტფილისის ოპერის ცნობილი მომღერალი ქალი ოლგა ნინუა.

ლტოლვილთა შორის

— ქალბატონ ქრისტინე წულუკიძისამ წარმატებით დააასრულა ბერლინის უნივერსიტეტის მედიკური ფაკულტეტი დოქტორის ხარისხით; მან დასწერა შრომა: „უებერ დას ბრანხიოგენე კარცინომ". ქალბატონი წულუკიძისა დასტოვეს სამუშაოდ ბერლინის მთავარ საავადმყოფოში

მიმოხილვა

Der Mann mit dem Tigerfell. Von Schotha Rustaweli. Aus dem Georgischen übersetzt und für die deutshe Jugend nacherzaelt von Felix Pecina. Herausgegeben von der Lehrervereinigung für Kunstpflege in Brln. Mit Bildern v E. Liebermann.

გერმანიაში არსებობს მასწავლებელთა გაერთიანება, რომლის მიზანია ხელოვნების მოვლა-განვითარება. ბატონ ფელიკს პეცინას ამ მიზნისათვის ქართულიდან უთარგმნია და გერმანელი ახალგაზრდებისათვის უამბნია ვეფხის ტყაოსანის შინაარსი. ეს წიგნი გამოცემულია ზემოაღნიშნული გაერთიანების ბერლინის განყოფილების მიერ და დასურათებულია ბ. ერნ. ლიბერმანის მიერ. პირველად ყოვლისა აღვნიშნოთ, რომ ეს დასურათება სრულიად არ შეეფერება არც ქართულ ტიპებს და არც იმ წარმოდგენას, რომელიც ჩვენ ვეფხის ტყ.-ის ტიპების შესახებ გვაქვს. ბ. ლიბერმანის სურათები გამოხატავენ გერმანულ ტიპებს, რაც გამოცემის ნაკლად მიგვაჩნია. ბ. ფელიქს პეცინა თავის მოთხრობას ვეფ. ტყ. შესახებ წარუმძღვარებს შესავალს, რომელშიც იგი ამბობს: — „ეს წინამდებარი მოთხრობა არის შემოკლებული შინაარსი ვეფხის ტყაოსანის, რომელიც დაწერილია საქართველოს დიდი მგოსანის შოთა რუსთაველის მიერ 1200 წლებში. შოთა რუსთაველი არ ითვლებოდა იმ დროში ერთად-ერთ მგოსნად, არამედ იმ დროს, როცა გერმანიაში ვოლფრამ ფონ ეშენბახ „პარსიფალს", გოტფრიდ შტრასბურგ „ტრისტან უნდ იზოლტეს" და ჰარტმან ფონ აუე „არმე ჰაინრიხს" სწერდენ. საქართველოს ჰყავდა კიდევ ბევრი განთქმული მწერალი და პოეტი. საქართველოში, რომელიც კავკასიის ქედის სამხრეთითაა შავ და კასპიის ზღვათა შორის, სუფევდა 1200 წ. არაჩვეულებრივი მაღალი კულტურა და კეთილდღეობა. თუმცა აზიაში იყრიდენ თავს მონღოლთა ურიცხვი ჯარები, მაგრამ განვლო რამოდენიმე ათეულმა წელიწადმა, სანამ ბოროტმა თემურ-ლენგმა მეთაურობა იკისრა ამ ჯარის და ყველაფერი მოსპო და გაანადგურა თავის ლაშქრობის დროს სამხრეთში. კავკასიას ჯერ წარმოდგენაც არ ჰქონდა იმ ქარიშხალზე, რაც თემურ-ლენგის მოსვლით მას თავს დაატყდა. ამ თავდასხმამდე საქართველო განაგრძობდა ვაჭრობას სომხებთან, სირიელებთან, არაბებთან და სპარსელებთან. მისი მწერლები ბაძავდენ სპარსულ მწერლებს, რომელნიც იყვნენ იმ დროში დიდი ხელოვანები გმირული პოეზიისა. საქართველოს მოწაფენი არ ჩამორჩებოდენ იმ დიდ მასწავლებლებს. იმ დროს ბრწყინავდა ყველაზე უფრო თავის გენიალობით შოთა რუსთაველი, რომელიც დღესაც საქართველოში სიამაყედაა მიჩნეული, როგორც ვოლფრან, ჰაინრიხ და გოტფრიდი-თ ვამაყობთ ჩვენ. მაგრამ ჩვენი მწერლები გერმანიის გარეშე უფრო ცნობილი არიან, ვიდრე ქართველები. ეს იმიტომ, რომ საქართველოში მცხოვრებლები ორნახევარ მილიონსაც არ ახწევენ და ამ ორნახევარ მილიონიდან ნახევარი ქართველები არ არიან. პატარა ერებს საერთოდ იმდენად არ იცნობენ, როგორც დიდებს. მეორე მხრით, ქართული ენა ისე განსხვავდება ევროპიულ ენებიდან და ისე რთულია, რომ ევროპიელები ძნელად ითვისებენ მას. მთელს ევროპაში არის მხოლოდ ერთი პატარა კუთხე. ჩრდილო ესპანეთში. ბასკეთი, რომლის ენა ქართულ ენას ენათესავება. ქართველების წინაპრები, როგორც ფიქრობენ მეცნიერები, ყოფილან შორეულ წარსულ ხანაში ყველაზე ძველი და უდიდესი ხალხი ევროპაში და [illegible] საბერძნეთში, ბალკანეთზე, [illegible] ესპანეთში შემდეგ ხანაში შეიქმნენ ისინი [illegible] საგან ,კელტებისაგან და სხვა ერთაგან დევილნი და აურილი, ასე რომ დღეს ამისთანა დიდი ერისაგან მხოლოდ პატარა ნაწილები დარჩა ამიერკავკასიაში და პირინეებზე. რაც შეეხება ვეფხის-ტყაოსანს, საკვირველია, რომ შოთა რუსთაველმა, ქართველმა მგოსანმა, თავისი პოემის ასპარეზი საქართველოს გარეშე აიღო. აშკარაა, მას ეს არ შეეძლო.! — საქართველოში იმ დროს მეფობდა ძლიერი, ჭკვიანი და იშვიათი ლამაზი თამარ მეფე. დღესაც გვიამბობენ ქართველი ქალები ლეგენდებს და გადმოცემებს ამ დედოფალზე. — შოთა რუსთაველს —საქართველოს მეჭურჭლეთ-უხუცესს უყვარდა დედოფალი თამარი, მაგრამ რადგან თამარ მეფე იყო, მან ვერ გაბედა თვისი სიყვარული მისთვის განეცხადებინა; ეს მეტად ძნელი საქმეა მგოსნისათვის; რაც რომ მგოსანს შიგნით, სულიერად ამოძრავებს და სტანჯავს, ეს მან უნდა გარედ გამოხატოს, — ასე დაიწყო შოთამ „ვეფ. ტყ". შექმნა. ამ დროს ის სულ თამარზე ფიქრობდა. მაგრამ ვერ გაბედა მისი სახელი დაერქმია და თავის გმირს, თამარის ნაცვლად, ნესტან-დარეჯანი უწოდა; მაგრამ, რომ არავის ეჭვი არ შეეტანა, რომ ის ნესტანით თამარს გულისხმობდა, მან თავისი მოქმედების ასპარეზი არაბეთში, სპარსეთში და თვით ინდოეთში გადაიტანა. მიუხედავად ამისა, ამბობენ ქართველები, თითქო თამარ მეფეს წეუტყვია ეს და გაჯავრებია კიდეც დიდ პოეტსო; მე კი არა მგონია, რომ ეს ასე იყო; წინააღმდეგ, ვფიქრობ, რომ თამარი გახარებული იყო ამ გენიალური ნაწარმოებით და მეც ვიმედოვებ, რომ თქვენც, ჩემო მკითხველნო, ეს პოემა გაგახარებთ".

ამ შვენიერ შესავალში ჩვენ მივაქცევთ ყურადღებას მხოლოდ ორ მოვლენას. ავტორი შეცდომას სჩადის ქართველი ხალხის რაოდენობის შესახებ, და ეს აიხსნება ალბად მით, რომ მას უხელმძღვანელებია ყალბი ციფრებით. თითოეულ ახლანდელ სტატისტიკურ წიგნში მას შეეძლო სინამდვილესთან უფრო ახლო მდგარი რიცხვი მოეძებნა. მართალია ,პატარა ხალხს, როგორც ამბობს პატივცემული ავტორი, დიდი ყურადღებით არ ეპყრობიან, მაგრამ როგორც თვით მისი ნათარგმნი ამტკიცებს, ამ პატარასაც შეუძლია მსოფლიოს კულტურულ სალაროში თავისი პატარა წვლილი შეიტანოს. მთარგმნელი დიდი მადლობის ღირსია ჩვენგან და ვიმედოვნებთ არტურ ლაისტის ლექსით ნათარგმნსაც მოესწრება ხელახალი გამოცემა; მით უმეტეს რომ გაისათ საქართველო და მასთან ერთად კულტურული კაცობრიობა იდღესასწაულებს შოთა რუსთაველის 750 წ. თავს.

ტურფა გაგელი

ჯვარედინა

ჩვენ არ მოველოდით, თუ ჯვარედინათი ასე დაინტერესდებოდენ. — აღმოჩნდა, რომ მან დიდი ინტერესიც გამოიწვია, ვინაიდან წარსულ თ. გ.-ში მოთავსებულ ჯვარედინაზე 20 ახსნა მივიღეთ. პირველმა ამხსნელმა ბ. ალ. კარგარეთელმა დაპირებისამებრ ჯილდო მიიღო.

NICOLAS

(რომანი)

1

საკვირველი ჩვეულება ჰქონდა აფრასიონს! გაიგონებდა რა საათის წკარუნს, როგორც შეშლილი წამოიჭრებოდა ლოგინიდან: საცვლების ამარა მიადგებოდა გაღებულ ფანჯარას და ისეთის ცნობისმოყვარეობით გადახედავდა ქუჩას და მის წინ ამართულ სასლის ფანჯრებს, — თითქოს ვიღაცამ დაუძახა და პასუხი უნდა გასცესო.

ნახევრად შიშველი დგას გაღებულ ფანჯარასთან.

გემრიელად გაიზმორა.

დაისრისა ნამძინარე, დაწითლებული თვალები.

მძიმედ ამოისუნთქა შუადღე ჰაერი.

შემდეგ გაიხსნა საღამური პერანგი ყველა ღილებზე და დაუწყო სრესა გრძელი და ხმელი თითებით ხშირ ბალნით შემოსილ, გაოფლიანებულ გულ-მკერდს.

— ვაი, ნენა, ვაი ნენა, სად გიკტება შენი ბიჭი?! —

ეს სიტყვები ისეთის სასოწარკვეთილებით და ოხვრით იყო წარმოთქმული ჯანისაგან ლოყებ შეწითლებულ, გოლიათის აგებულების კაცის მიერ, — თითქოს ამისი მთქმელი სულ მოკლე ხანში მოელის სიკვდილს, რომელიც სრულიად არ აშინებს, მაგრამ სამწუხაროა ერთი რამ: ვერ გაუსწორებს სასთუმალს, ვერ დაუხუჭავს თვალებს და ვერ დაუკრეფს გულზე ხელებს „საცოდავი" დედა მისი.

თერთმეტი ცხენის ძალის „პეჟო"-მ ჩაუქროლა სახლის წინ და მტვერში გახვია ქუჩა.

აფრასიონმა თავი გაჰყო ფანჯარაში. თვალი დაადევნა ქარხნის პატრონის უფროს ვაჟიშვილს... მხრები აიჩეჩა, თითები შეათამაშა:

— რა გიჭირს, ბიძია, რა!.. დედამ კარგა დაგტუა და მამამ! —

კვირა დღე იყო. ზაფხულის ცხელი მზით გაწუქებული სოფელი ორ-სართულიან ბეტონის სახლებით და ასფალტით დაგებულ განიერ ქუჩებით პატარა ქალაქს უფრო ჰგავდა.

— „ამას თუ სოფელი ქვია, — იტყოდა ხშირად აფრასიონი, —ოზურგეთს რეიზა დაათქვეს ქალაქი, ვერ გევიგე სტორეთ. რკინისგზა ზედ გადის; ფოშტა, თვითმართველობა, პოლიკიე აქანეა; ქარხნები გუგუნობს. ავტომობილები და ველისაბედები ყველაყას ქე აქ; კაფეები, სინემა, რესტორანები, ოტელები, კოპერატივი, ეკონომა, დუქნები.. რა გინდა სულო და გულო, რომ არ იშონოშით. ერთი აქოური ურიის ფართლის მაღაზიე მთელ ოზურგეთის რიადს იყიდის კოსანტილეც რომ ჩუურიოთ შით. აფთიაქი? ვორი! ბეჟანაის აფთიაქი ნაკლებად ამოდგომია გვერდში. წყალი და ფეხსადგილი ყველა სახლებშია. აქოური მდინარე ბეჟეს და ნატანებს შეკრავს ერთათ. სამი ბოგაა გაგდებული ზეთ, ქვიტკირის. გიმნაზია და სამოქალაქო კლასი არაა მარა, თუ არ ვცდები, პირველ დაწყებითი სასტავლებელი ქეა ბიჭების და გოგოების. არ გაგზავნი ბაღანას კლაში და მოგაკითხავს ყაძახი ;ვერ ეტყვი მიზეზს და ქე დაგშტრაფავს. ახლა, წარმევიდგინოთ. ხარ მორწმუნე, — გწამს ჯვარი და ხატი. მობრძანდი ბატონო! ვორი ვუშველებელი ეკლესიე. — პროტესტანტების და ქათოლიკების. რაით არაა ქალაქი?! დეილოცა აქოურობა! ქვეყანაა, ბატონო, დაწყობილი, საათივით მომართული!"

ასეთი აზრისა იყო ამ სოფელზე აფრასიონი, როდესაც ხმა-მაღლა მსჯელობდა, მაგრამ მიეცემოდა რა ფიქრს, გაწვებოდა რა თავის რკინის ვიწრო ლოგინზე (ზეზე მდგარს ფიქრი არ შეეძლო), გააბოლებდა რა ფრანგულ „კაპორალს" და დახუჭავდა თაფლისფერ თვალებს... ასფალტით დაფენილ ქუჩებს კოინდარით დათესილი ეზოს მწვანე ფერი გადაეფარებოდა. ბეტონის სახლები ხავსმოკიდებულ ყავრით დაიხურებოდენ. ოთახი ნიგვზის და თხმელის ფოთოლთა სუნით გაიჟღინთებოდა და მკაფიოდ მოისმოდა წისქვილის და საცეხველის ხრიალი....

— არა, არა! — წამოიჭრებოდა ზეზე აფრასიონი ხელების ქნევით. თითქოს უნდა მოგონებები გაჰფანტოს, — არა, ბატონო, არა. გორა-ბერეჟოულის წითელი ტალახი მირჩონია აქოურ ოქრუებს! —

დგას აფრასიონი გაღებულ ფანჯარასთან. უცქერის მზეს, დარაბებ ჩაკეტილ სახლებს. ქუჩას, პატარა მოედანს გარეულ წაბლის ხეივნით დაყურულს. რომლის შუა გულში ბრინჯაოს ძეგლია ამართული: ძაძებში გახვეულ ქალს უსვენია კალთაში ფრანგის ჯარის-კაცი. ძეგლს ასეთი წარწერა აქვს: „ჩვენს ძვირფას ბავშებს. სამშობლოსათვის დახოცილთ". ბრწყინავს მზეზე ოქროს ასოები: იმათი სახელი და გვარი, ვინც საუკუნოდ დასტოვა ეს სოფელი. აქ, სადაც ორი ქუჩა ერთდება, თეთრი სახლია წითელი წარწერით: კაფე დე ლა გარ. წერილების დამტარებელმა, მუსიო ლუმ ველო მიაყუდა და კაფეში შევიდა. გაღებულ კარებიდან გამოვარდა ტეესეფის ბოხი, ხრინწიანი ხმა. კარები დაიხურა და ისევ მზით გაშუქებული სიჩუმე.... ორი ძაღლი გარბის მოედანზე; ჭრელი გაჩერდა... ხის ფესვები დასუნა და უკანა ფეხი ასწია. მეორემაც იგივე გაიმეორა.

არა ერთხელ დაუნახავს აფრასიონს თავის ოთახიდან ეს უცვლელი, მოწყენილი სურათი. მაგრამ დღეს სულ სხვა თვალით ხედავს ყველაფერს. ხშირად შეუმშრალებია გაცხარებული მუშაობის დროს ზეთში გასვრილი ცხვირსახოცით მსხვილად დაყრილი ოფლი შეწითლებულ სახეზე, ხშირად გამოუთქვამს თავისი უკმაყოფილება ქარხანაში შემოჭრილ მზის სხივისათვის, რომელიც „რაცხა ჯინაზე" სულ იმის მანქანას დასცქერის, როგორც "შემოჩენილი" და უცხელებს თავის კეფას. მაგრამ დღეს სხვანაირად ანათებს მზე: არ იკმინება, პირიქით ეალერსება აფრასიონს.

— ჩვენებური ბზეი ამოსულა ცაზე! — სთქვა აფრასიონმა ისეთი კმაყოფილი და დამაჯერებელი ხმით, — თითქოს მართლაც ორი მზე არსებობდეს ამ სამყაროში: ერთი, განსაკუთრებით საქართველოსათვის და მეორე, დანარჩენ ქვეყნებისათვის.

სიამით გაიზმორა. მიუშვირა თეთრი მაგარი კბილები და გულმკერდი ცხელ სხივებს და როგორც ულაყმა, ფაშატის სიახლოვით მთვრალმა, ჩაიცინა ცხვირის ნესტოებში.

მზის სხივები დაბერილ ნესტოებიდან ყანყრატოში შეიჭრა. აფრასიონმა დააღო პირი და მამაპაპურად ააცხიხიკა. მოხუცი დიასახლისი მუშაობს ბოსტანში. ასუფთავებს წიწმატით დათესილ კუთხეს. მძიმედ გაიმართა წელში, ზანტად შემოტრიალდა და მიესალმა აფრასიონს:

— Bonjour Monsieur Nicolas !

— ბონჯურ მადამ!

— Il fait chaud, n'est-ce pas ?

— ვუი, მადამ, ილფე შო! —

— Mais pas si chaud qu'hier !

— ვუი, მადამ, პა სი შო ქიერ! —

მოხუცი ქალი სახლისაკენ გაემართა. როგორც იხვი არხევს დამძიმებულ ტანს ქოშებში გაყრილ მოდუნებულ ფეხებზე.

— საკვირველია, — ფიქრობს აფრასიონი. — რატო არ მხთება გულს ამგენის ლაპარაკი? სულ ერთი და იმავეს გეიძახიან! თუ აცხა, გეტყვის. — ილ ფე შო; თუ ცივა — ილ ფე ფრუა; თუ თოვს — ილ ნეჟ; თუ წვიმს — ილ პლე. რათ მინდა, ბიძია, შენი კომენტარიე! ამას მეც კარგა ვხედავ. ვორი წელიწადია ვცხოვრობ ამ დედაბერთან და ილ ფე შო-ს და ილ ფე ფრუა-ს მეტი არაფერი გამიგონია. მოდი, შე დალოცვილო, დამელაპარაკე კაცურათ, შემაწიე ვორი ღერი სიტყვა. ამ ჩემ დანტროული ფრანგულით რაცხას მაინც ქე მიგახთენ. მაგენის გამარჯობა გამარჯობას არ გავს. ჩვენში შეგხთება უცნობი ყაძახი შუკაში და ერთს იმფერს შემოგაძახებს გამარჯობას, რომ ტანში დაგაზრიალებს. ამგენს ყოლიფერი გამოზომილი აქ. ეშინიან მეტი სიტყვა არ დახარჯონ. ჩვენი კაცის სიცილიც კაია და ტირილიც! გულს უფრო ხთება და ალბად კაია. —

***

აფრასიონი დაეყრდნო ფანჯრის მოაჯირს და ისეთი გამომეტყველება მისცა სახესა და ტანს —თითქოს რაღაცაზე ფიქრობსო. მაგრამ, სინამდვილეში, სრულიად არაფერზე არ ფიქრობდა. მხოლოდ ერთი წუთით მიიპყრო იმისი ყურადღება შუშის პატარა ნატეხმა, რომელიც ეზოს ბოლოში, ბარდებში, ეგდო და მზეზე ლაპლაპებდა.

ქუჩის მეორე მხარეზე, აფრასიონის ოთახის გასწვრივ, დარაბები გაიღო. მადამ ბარბიე, მოჰკრა რა თვალი აფრასიონს, მაშინვე მოშორდა ფანჯარას და სიცილით გაეშურა სამზარეულო ოთახისაკენ. მუსიო ბარბიე რძიან ყავას მიირთმევდა და ერთი თვალით "ლე ჟურნალ"-ს ათვალიერებდა. მადმუაზელ ანდრე, საკვირაო კაბაში მორთული, სარკის წინ იდგა და თმებს ივარცხნიდა.

— Mais il est tout nu !

(სულ გატიტვლებულა)

სიცილით წამოიძახა მადამ ბარბიემ შემოსვლისათანავე.

მოსიო ბარბიემ გაზეთი მაგიდაზე დასდო.

— Mais qui, Maman ?

(ვინ დედა?)

შეეკითხა ქალიშვილი.

— Ton Nicolas, ma fille, ton fiancé

(შენი ნიკოლა, შენი საქმრო, ჩემო შვილო!)

მადმუაზელ ანდრე გაწითლდა:

— Pas possible !

(შეუძლებელია!) გულიანად გაიცინა და სამზარეულოდან გაიქცა.

მუსიო ბარბიე მოიღუშა. სათვალები მოიხსნა. დაორთქლა. ცხვირსახოცით გასწმინდა და ბუდეში ჩასდო. წამოდგა. გასწორდა წელში. სათვალეს ბუდე შარვლის უკანა ჯიბეში ჩაიჩეჩა და თავის ქალს უკან აედევნა. კარებში შეჩერდა და წყრომით გადახედა თავის მეუღლეს, რომელიც ძლივს იმაგრებდა სიცილს.

საწოლ ოთახის ფანჯარასთან ატუზული მადმუაზელ ანდრე კისკისებდა. ცხვირსახოცს იფარებდა აკრემლებულ თვალებზე. ცოლ-ქმარი ფრთხილად მიუახლოვდნენ ფანჯარას.

აფრასიონს პოზა გამოეცვალა: იდგა გაშეშებული, როგორც ქანდაკება. გრძელ საღამურ პერანგში.

— Il ressemble à une première communiante

(იგი ჰგავს პირველი ზიარებისათვის მორთულ გოგონას), სთქვა ღიმილით მოსიო ბარბიემ. მაგრამ მაშინვე გაიბოხა ხმა და გაჯავრებით დაუმატა:

— C'est honteux pour un homme ! Je le lui dirai même demain, à l'atelier !

(ეს სასირცხოა მამაკაცისათვის! ხვალვე ვეტყვი ატელიეში. — ხელი ჩაიქნია და ოთახიდან გავიდა. სამზარეულოდან მოისმოდა იმისი ხმა:

— Il se fiche de nous, cet étranger !...

(დაგვცინის ეგ უცხოელი!..)

დედა და შვილი იცინოდენ და თვალს ადევნებდენ აფრასიონს: კაცი, საღამურ პერანგში, მძიმედ შეირხა, ზურგი უჩვენა მათ და ოთახში მიიმალა...

მადამ ბარბიე ანდრეს გაუსწორებელ ლოგინზე ჩამოჯდა. ხელით მოიზიდა თავისი ქალიშვილი და გვერდით მოისვა. ალერსით გადაუსვა ხელი გაშლილ თმებზე. თვალებში ჩააცქერდა სიყვარულით და ჩურჩულით შეეკითხა:

— Ma mie, dit la vérité : est-ce vrai ?

(ჩემო კარგო, სთქვი სიმართლე: მართალია თუ არა?)

ქალი გაწითლდა .დედას თვალები მოარიდა და ზეზე წამოიჭრა:

— Mais non, maman !

(არა, დედა!)

მადამ ბარბიემ ხელები გაშალა:

— Ma foi, tout le village en parle !

(რა ვქნა, მთელი სოფელი ლაპარაკობს!)

(გაგრძელება იქნება)

სიმონ ბერეჟიანი

La Gérante : Louise Bernard.
Imp. DUPUIS, 63 bis, rue de Billancourt — Boulogne